საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 19 მაისი. 2017 წ. №101 (8238), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

სირცხვილი იმ გუთნის-დედას!

4

„მშობლიურო ჩემო მიწავ...“

პარლამენტმა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონი დაამტკიცა

2

ჰერბერტ ზალბერს ეშმაკი შეუჩნდა... იგი აფხაზეთს ეწვია

როგორ გაცუცურაკა ინგლისის დედოფალი „კლოუნმა პრინცმა“!

6

„ჩუენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატოვანმან“...

7

საქართველოს სამეფო სახლი გუშინ, დღეს...

ქართველ კადეტს დიპლომი აშშ-ის პრეზიდენტმა გადასცა

ქართველმა კადეტმა ელდარ საგანელიძემ აშშ-ში, კონექტიკუტის შტატში მდებარე სანაპირო დაცვის აკადემიის 200-კვირიანი კურსი წარმატებით დაასრულა. გამოსაშვებ ცერემონიალს აშშ-ის პრეზიდენტი დაესწრო და 194 კურსდამთავრებულთან ერთად ქართველ კადეტს უმაღლესი სამხედრო აკადემიის დიპლომი პირადად გადასცა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რიგითი ელდარ საგანელიძე დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მსმენელად 2013 წლიდან ირიცხება. აშშ-დან დაბრუნების შემდეგ მას ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიენიჭება და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სპეციალიზაციით იმსახურებს.

„თქვენ სწორი არჩევანი გააკეთეთ და იცით, თქვენი ცხოვრება მომავალში როგორ წარმართოთ. სანაპირო დაცვის სამხედროებს განსაკუთრებული როლი და ფუნქცია აქვთ არა მარტო შეიარაღებულ ძალებში, არამედ ზოგადად ქვეყნისთვისაც. თქვენ მოგიწევთ განსხვავებული როლების შესრულება — ზოგიერთი თქვენგანი სხვა ქვეყნებში, ჩვენს პარტნიორებთან ერთად განაგრძობს მუშაობას. ვამაყობ, რომ წილად მხვდა პატივი, ვიყო თქვენი მთავარსარდალი“ — ამ სიტყვებით მიმართა ამერიკის პრეზიდენტმა სანაპირო დაცვის აკადემიის 2017 წლის კურსდამთავრებულებს.

პრემიერ-მინისტრმა აშშ-ში ვიზიტი შეაფასა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აშშ-ში ვიზიტი მთავრობის გუშინდელ სხდომაზე შეაფასა და განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები შედგა ახალი ადმინისტრაციის უმაღლეს დონეზე.

„აშშ-ში მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა. ჩვენ მივიღეთ მკაფიო გზავნილები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის თაობაზე, ასევე, სტრატეგიული მიმართულებებით თანამშრომლობის გაღრმავებაზე, რაც ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. ვფიქრობთ, იყო ძალიან ნაყოფიერი ვიზიტი. მინდა, მადლობა გადავუხადო საგარეო საქმეთა სამინისტროს, მინისტრს. ძალიან დიდი სამუშაო გასწია ჩვენმა ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. მინდა, მადლობა გადავუხადო ელჩს და საელჩოს. ვიზიტი იყო კარგად მომზადებული. არა მხოლოდ ეს ვიზიტი, არამედ რამდენიმე მნიშვნელოვანი ვიზიტი, რომელიც მას წინ უძღოდა“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

საქართველო თანდათან იბრუნებს იმ გეოსტრატეგიულ ფუნქციას...

ეს არის მნიშვნელოვანი ახალი კარი, რომელიც გაიღო საქართველოს საექსპორტო პოტენციალისა და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარების მიმართულებით და საქართველო თანდათან იბრუნებს იმ გეოსტრატეგიულ ფუნქციას, რომელიც მას ისტორიულად გააჩნდა, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების ფაქტს. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, დოკუმენტი იძლევა შესაძლებლობას, გაიზარდოს ინვესტიციები საქართველოში და ქართული პროდუქცია მსოფლიოს უდიდეს ბაზარზე გავიდეს.

„ჩინეთთან ხელი მოვაწერეთ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას. ეს არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ძალიან საინტერესო შესაძლებლობებს ქმნის საქართველოში ინვესტიციების მოსაზიდად. ჩვენ გვაქვს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან, ასევე გვაქვს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება ევროკავშირთან, რომელიც საქართველოს ხდის მიმზიდველ ქვეყნად ჩინეთიდან ინვესტიციებისთვის. ჩვენ ვთვლით, რომ ჩინეთთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერა იქნება უმნიშვნელოვანესი ახალი ადგილების შესაქმნელად, ახალი ინვესტიციების მოსაზიდად, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებების განსავითარებლად, რაც საქართველოსთვის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებაა. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ღია ასეთი ტიპის ეკონომიკური თანამშრომლობისთვის. ვფიქრობთ, ეს არის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი და მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩართული იყო ხელშეკრულების მომზადებაში“, — განაცხადა პრემიერმა მთავრობის სხდომაზე

26 მაისის აღნიშვნის ძირითადი თემატიკა „ვეფხისტყაოსანი“ იქნება

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, დამოუკიდებლობის დღესთან ერთად წელს შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე აღინიშნება.

„ჩვენ წელს დამოუკიდებლობის დღესთან ერთად ვზეიმობთ შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს. ამ დღესასწაულის განმავლობაში ძირითადი თემატიკა იქნება დაკავშირებული „ვეფხისტყაოსანთან“, რაც ძალიან კარგია. ჩვენ მართლა გვაქვს განუმეორებელი განძი, რომელიც ვფიქრობთ, რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა წარმოვაჩინოთ და მომავალი თაობები აღვზარდოთ იმ ფასეულობებზე, რომელზეც არის საუბარი გენიალურ ნაწარმოებში. დღესასწაულების ძირითადი თემატიკა იქნება „ვეფხისტყაოსანი“. დღესასწაულის ფარგლებში მოეწყობა ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა და ეს თანხები გადაირიცხება სოლიდარობის ფონდში“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. მისივე თქმით, დღესასწაული ტრადიციულად საქართველოს სხვადასხვა რაიონში გაიმართება.

„სხვადასხვა სამინისტროები იქნებიან წარმოდგენილი სხვადასხვა რაიონში. ტრადიციულად იქნება ჯარისკაცების ფიცის დადების ცერემონია“, — აღნიშნა კვირიკაშვილმა.

ხელი მოეწერა ჩინეთთან ორმხრივ ხელშეკრულებას

ჩინეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ჩინეთის ვიცე-პრემიერ ვანგ იანგს შეხვდა და მასთან საქართველო-ჩინეთს შორის ორმხრივი თანამშრომლობის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები განიხილა.

შეხვედრა ჩინეთის ანჰუის პროვინციის ქალაქ ჰეფეიში გაიმართა, სადაც საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ჩინეთის ვიცე-პრემიერთან ერთად, „ცენტრალური ჩინეთის ექსპო 2017“-ის ოფიციალურ გახსნაზე მოხსენება გააკეთა. შეხვედრაზე დიმიტრი ქუმსიშვილმა ვრცლად ისაუბრა საქართველოს დამოკიდებულებაზე „ერთი სარტყელი – ერთი გზის“ ინიციატივის მიმართ, რომელიც ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინ პინმა გააკეთა. აღნიშნული ინიციატივის თანახმად, საქართველო წარმოდგენილია როგორც ცენტრალური სატრანსპორტო (აღმოსავლეთ-დასავლეთის) დერეფნის შემადგენელი. პირველმა ვიცე-პრემიერმა აქცენტი გააკეთა ჩინეთის პრეზიდენტის მიერ დასახელებულ „ერთი სარტყელი – ერთი გზის“ მიმართულების 5 მთავარ პრინციპზე, რომლის თანახმადაც სარტყელისა და გზის ქვეყნებს შორის უნდა არსებობდეს მშვიდობიანი თანაცხოვრება, ეკონომიკური კეთილდღეობის გადანაწილება, ხალხთა შორის კულტურული კავშირების განვითარება და თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროებში.

„საქართველო ერთ-ერთი პირველი მიუერთდა აბრეშუმის გზის ინიციატივას, როგორც ისტორიულად მისი განუყოფელი ნაწილი“, – განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა. მისი თქმით, ე.წ. „ცენტრალური დერეფანი“ უმოკლესი გზაა ჩინეთსა და ევროპას შორის.

შეხვედრაზე, ჩინეთის ვიცე-პრემიერმა დადებითად შეაფასა ქართული მხარის წინადადება „ერთი სარტყელი – ერთი გზის“ ინიციატივის ფარგლებში ჩინური კომპანიების მიერ საქართველოში ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნის შესახებ.

გიორგი მარგველაშვილი: საარჩევნო ბონუსსისტემა მორალის თვალსაზრისითაც პრინციპულად მიუღებელია

საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საარჩევნო ბონუსსისტემა, მორალის თვალსაზრისითაც პრინციპულად მიუღებელია. გიორგი მარგველაშვილი პროექტის „კონსტიტუცია ყველასია“-ს ფარგლებში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორებს და სტუდენტებს შეხვდა.

„არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფუნდამენტური ღირებულებები რისთვის იქმნება კონსტიტუცია. ის უნდა ემსახუროს ხალხს. დღეს მიმდინარე დებატებში იკარგება მთავარი – რა სურს ხალხს? სად არის ხალხის შეკვეთა? ჩემი მთავარი მოტივაციაა, რომ კონსტიტუცია არ მოვწყვიტოთ ხალხის შეკვეთას და ის არ იყოს განყენებული დოკუმენტი, რომელშიც ერთი თავი გადმოწერილია იტალიიდან, მეორე – გერმანიიდან, მესამე – საბერძნეთიდან“, – აცხადებს გიორგი მარგველაშვილი.

მისი თქმით, დღეს რამდენიმე პრინციპული თემაა და თუ ეს თემები გადაწყდება, მაშინ მნიშვნელოვანი დოკუმენტი შეიქმნება. **„ჩემთვის პრინციპულია ბონუსის სისტემა, რომელიც ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია. ყველაზე წმინდა ამ პროცესში არის ხმის მიცემის პროცედურა და თუ არ მივეცი ვინმეს ხმა, არ შეიძლება ეს ერთმა პარტიამ მოხიკოს. ეს მორალის თვალსაზრისითაც პრინციპულად მიუღებელია“,** – აცხადებს პრეზიდენტი.

* * *

„როდესაც პრეზიდენტს ასახელებ უმაღლეს მთავარსარდლად, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი კომპეტენციები არა მხოლოდ ომიანობის დროს, არამედ ომამდეც, რომ უფრო მეტად განამტკიცოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მან პრეზიდენტის არჩევის წესზეც ისაუბრა და განმარტა, თუ რამდენად მეტად დემოკრატიულია პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები.

„არის საუბარი არჩევის წესთან დაკავშირებით. არჩევა შეიძლება პირდაპირიც და არაპირდაპირაც, ორივე დემოკრატიულია, მაგრამ როცა საზოგადოების უმრავლესობას უნდა აირჩიოს პირდაპირი წესით, რამდენად დემოკრატიულია ამ ხალხს უთხრა უარი? რამდენად გესმის დემოკრატიისა და კონსტიტუციის აზრი, როცა უბრალოდ ეუბნები, რომ არა, 300 ხმოსანი აირჩევს“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ჰერბერტ ზალბერი აფხაზეთს ეწვია

გერმანელი დიპლომატი ჰერბერტ ზალბერი ჟენევის დისკურსიის თანათავმჯდომარეებთან ერთად ოკუპირებულ გალის რაიონში იმყოფებოდა. მათ ადგილზე გალის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თემურ ნადარია და ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი დაურ კოვე შეხვდნენ. ისინი ოკუპაციის ხაზზე საკონტროლო-გამშვები პუნქტების დახურვას დაესწრნენ.

„ჩვენი ვიზიტი დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩვენ, როგორც ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს, გვსურდა, გვენახა, რა სიტუაციაა ადგილზე. ჩვენ ჟენევაში ხშირად ვსაუბრობთ არსებულ სიტუაციასა და უსაფრთხოებაზე ამ რეგიონში. ამგვარად, ჩვენ მოხარულები ვიყავით, როდესაც ჩვენმა კოლეგებმა სოხუმიდან შემოგვთავაზეს, ჩამოვსულიყავით აქ და მოგვენახულებინა ეს პუნქტები. საიდუმლო არაა, რომ ჟენევის დისკუსიების მონაწილეებს შორის არსებობს განსხვავებული მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, საკმარისია თუ არა მხოლოდ ერთი გადასასვლელი პუნქტი, თუ საჭიროა რამდენიმე გადასასვლელი. მას შემდეგ, რაც ჩვენ ვნახეთ, აქ რა ხდება, რა თქმა უნდა, დისკუსიები გაგრძელდება“, – განაცხადა ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელმა, ჰერბერტ ზალბერმა.

შეგახსენებთ, რომ დიპლომატი ჰერბერტ ზალბერი რამდენიმე დღის წინათ სკანდალში გაეხვა. მან ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ლიდერს ანატოლი ბიბილოვს, საპრეზიდენტო არჩევნების წარმატებით ჩატარება მიულოცა.

ფიზიკური დაპირისპირება ოზურგეთის საკრებულოში

ოზურგეთის საკრებულოში, სადაც თვითმმართველი ქალაქების გაუქმების საკითხზე და სათემო მუნიციპალიტეტის გაერთიანებაზე მსჯელობდნენ, ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

ხმაური ოზურგეთში მას შემდეგ დაიწყო, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შენობაში გვირგვინის შეტანა სცადეს, თუმცა დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა ამის საშუალება არ მისცეს. აღნიშნულ ინიციატივას არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების ნაწილი ეწინააღმდეგება. მათი თქმით, ეს ინიციატივა თვითმმართველობის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედებს. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი კოკა კიღურაძე აცხადებს, გვირგვინის შეტანა იყო სიმბოლური ხასიათის, რადგანაც ამ ინიციატივით თვითმმართველობა სამარდება.

პარლამენტმა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონი დაამტკიცა

პარლამენტმა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი მესამე მოსმენით დაამტკიცა. საკანონმდებლო ორგანომ გუგული მაღრაძის ინიციატივა 85 ხმით 1-ის წინააღმდეგ მიიღო. ახალი რეგულაციები 2018 წლიდან ამოქმედდება.

თამბაქოს მოწევა აიკრძალება ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში, რომელსაც 50%-ზე მეტი კედლები აქვს.

საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ტაქსისა და კატერის გარდა.

საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების, ნებისმიერი სხვა სასწავლო დაწესებულების, ბიბლიოთეკის, მოსწავლე ახალგაზრდობის ბანაკების, ბავშვთა გასართობი ცენტრების და 18 წლამდე პირებისთვის განკუთვნილი სხვა დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. ასევე, 18 წლამდე პირებისთვის განკუთვნილ საზოგადოებრივ შეკრებებზე.

სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების შენობა-ნაგებობებსა და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე.

თამბაქოს მოწევა ნებადართული იქნება შემდეგ ადგილებში:

ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილას, თუ ეს საცხოვრებელი ადგილი ამავდროულად სამეწარმეო საქმიანობის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი არ არის;

თამბაქოს კვამლის შემსწავლელი სპეციალიზებულ ლაბორატორიულ დანადგარებში;

პენიტენციურ დაწესებულებაში.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის შესაბამისად, გაცემული ნებართვის საფუძველზე მოწყობილ სიგარაბარში, სამორინეში, წინასწარი დაკავების იზოლატორში;

სტაციონარული ფსიქიატრიული და პალიატიური მკურნალობისთვის განკუთვნილ დაწესებულებებში თამბაქოს მოწევა შესაძლებელია ამ დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ სპეციალური ბრძანებით დადგენილი წესით, ზოგიერთი ქმედუუნარო ან მძიმე ავადმყოფი პაციენტისათვის, სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას, რომელიც დაწესებულების სხვა ნაწილისგან/ტერიტორიისგან სრულად (კედლებით) უნდა იყოს გამიჯნული, ვენტილაცია ან ღია სივრცეში გამავალი ფანჯარა ჰქონდეს,

აეროპორტის სატრანზიტო ზონაში თამბაქოს მოწევა დასაშვებია მხოლოდ სპეციალურ მოსაწევ ოთახში, რომელსაც ცალკე სავენტილაციო სისტემა უნდა ჰქონდეს, თამბაქოს კვამლი სხვა სივრცეში არ უნდა ხვდებოდეს. ამასთან, ერთ აეროპორტში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი სპეციალური მოსაწევი ოთახი;

2020 წლის 1 იანვრამდე, დასაშვებია თამბაქოს მოწევა სასტუმროს ნომრების არაუმეტეს 20 პროცენტში. მოსაწევი ოთახების ნომრები სასტუმროს ადმინისტრაციის სპეციალური ბრძანებით უნდა გამოიყოს, რომელიც სასტუმროს თვალსაჩინო ადგილზე უნდა განთავსდეს.

სინდისი დაჩაგრული ანგელოზია!

გურამ ოდიშარია

ძალიან გაგვიადვილდა და ძალიან შევეჩვიეთ კიდეც ერთმანეთის ღირსების შემლახველ ქმედებებს. ერთმანეთის სიტყვიერ განწირვაში, ღლიცინში, დაცინვაში, ღადავში, შაყირში იხრჩობა თითოეული ჩვენგანის საერთო ღირსება.

შევძლებთ თუ არა, რომ ჩვენი დაქსაქსული ეროვნული ენერგია, რომელიც ჩვენი დამოუკიდებლობის თითქმის პირველივე დღიდან აგრესიულ ურთიერთდაპირისპირებაში იხარჯება, გავაერთიანოთ და ქვეყნის მშენებლობას მოვახმაროთ?

განა ვის ვჭირდებით ასეთები – დაშლილები, ენაარეულები, ერთმანეთის სიტყვების ვერგამგონები?

ვჭირდებით კი ასეთები თუნდაც მშობლიური, ეგზოტიკური ბუნებისა და ასევე ეგზოტიკური პოლიტიკის კავკასიას, რომელთანაც უამრავი, მრავალნაციონალური სტერეოტიპებია დაკავშირებული? კავკასიას, რომელსაც ჯერ კიდევ **შექსპირი ახსენებდა, როგორც დედამიწის ხელისგულზე დადებულ გავარვარებულ ნაკვერჩხალს?!**

ან სულაც – საკუთარ თავს ვჭირდებით კი ასეთები?

შევძლებთ თუ არა, დავძლიოთ ის სიძულვილი, ის სიავე, ის უმეცრება, ის სიბრიყვე, ის ამპარტავნობა, ის... რომელიც მერამდენე წელია, ჩვენზე ბატონობს და ჯერჯერობით ვერა და ვერ ვამარცხებთ?

პრობლემებით დამძიმებულები როგორ გავიკვლევთ გზას გლობალური პოლიტიკის მაგისტრალზე?

და ბოლო-ბოლო, შევძლებთ თუ არა, ჭეშმარიტად გავხდეთ დამოუკიდებლები, თავისუფლები, ნაწილობრივ მაინც გავხდეთ ბედნიერები? ნაწილობრივ, მაინც!..

უამრავი კითხვა ისმის ამ პლანეტაზე ჩვენთვის განკუთვნილ სივრცეში. უამრავი. დამაჯერებელი პასუხი კი მხოლოდ თითო-ოროლაა.

და, მართლაც, რა დაგვემართა?.. და ნუთუ ვერ შევძლებთ ქართული ბაბილონის გოდოლის ნგრევის შეჩერებას?..

მზა პასუხებს არსაიდან გვიკარნახებენ. არავინ გვიკარნახებს. სხვა არავინ. ისევ ჩვენ! თითოეულმა ჩვენგანმა თავად უნდა გასცეს ამ კითხვებს პასუხი! თითოეულმა ცალ-ცალკე. და, ყველამ – ერთად!

...ჩვენ ჯერჯერობით ვერაფრით, ვერაფრით ავაგეთ ერთმანეთთან ურთიერთობის ის შემეცნებით-ანალიტიკური, მშვიდი სივრცე, სადაც თანმიმდევრულად, ყოველგვარი ზეემოციის გარეშე, კამათის კულტურის დაცვით ყველაზე მწვავე საკითხებზეც შევძლებთ დიალოგის წარმართვას; სადაც არ იარსებებს გამჭვირვალობის მწვავე დეფიციტი, რომელიც ჭორებსა და ეჭვებს გვიმრავლებს და მშვიდად მოვისმენთ ერთმანეთის ნააზრევს, ყველაზე დაპირისპირებულ აზრებსაც კი და, სადაც, საბოლოოდ, ყველაზე სასარგებლო, საჭირო, აუცილებელ გადაწყვეტილებებსაც ერთად, გუნდურად მივიღებთ. მოკლედ, სწორედ ის სივრცე ვერ ავაგეთ, სადაც სხვადასხვა ხედვის ადიდებულ მდინარეში ოქროს ფონი ყველამ ერთად უნდა ვიპოვოთ.

ვერ გავაანალიზეთ, ვერ ავწონ-დავწონეთ (აფთიაქის სასწორით აწონვას ვინ ჩივის) ჩვენი უახლესი ისტორიის, ყოფის, მენტალიტეტის, სულიერი მდგომარეობის დეტალები. რა შეიცვალა ჩვენში, რა არ შეიცვალა, რისი შეცვლაა შეუძლებელი, რისი შესაძლებელი?

ჩვენ შეუთავსებლობა გვაქვს სხვა ქვეყნებიდან მკვეთრი ცვლილებების გადმოტანილ და დანერგილ სქემებთან. კრახით დამთავრდა „ახალი ადამიანის, ახალი საზოგადოების“ შექმნის უხეში, უნიჭო მცდელობა.

ჩვენ ისეთ ქვეყანაში (საბჭოთა კავშირში) ვიცხოვრეთ, სადაც შიში ქვეყნის მართვის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად იყო გამოყენებული.

შიშზე აგებული სახელმწიფო კი, როგორც წესი, დიდხანს ვერ გაძლებდა. და ასეც მოხდა. მაგრამ ინერცია იმ ქვეყნის, რომელიც რუკაზე დიდი ხანია, რაც არ არსებობს, დამოუკიდებელ საქართველოში პერიოდულად განსაკუთრებით იგრძნობოდა და დროგამოშვებით ნეობოლშევიზმის სახითაც გვიბრუნდებოდა. ჩვენ ჯერჯერობით ვერ გავისიგრძეგანეთ ის პოსტულატი, რომ ქვეყანას მხოლოდ ყოველგვარი შიშისაგან თავისუფალი, კანონის აღმასრულებელი, მართალი, სინდისთან წილნაყარი პროფესიონალები აშენებენ და არა საქმის უსიტყვოდ შემსრულებელი ადამიანები.

ქვეყნის აღორძინების გზაზე გასულს ახალი ხედვის, ახალი გადაწყვეტილებების მიღების უნარი, ნიჭი და ვაჟკაცობა სჭირდება, განვითარების, კულტურის ახალი მუხტი, სხვა სიმამაცე, სხვა შესაძლებლობები! ამ თვისებების გარეშე ვერა და ვერ შევძლებთ ძველი, ჩაკირული პრობლემების მსხვრევას.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს სიახლის შიში – ძველ სატკივარს ვართ შეგუებულები. ხოლო ის, რასაც ეგუები, უკვე არ გტკივა. გვეშინია მხოლოდ, უარესი რამ არ დავიმართოთ და არჩევნებიდან არჩევნებამდე ვცხოვრობთ.

ძალიან ნელა ხდება ცვლილებები უკეთესობისკენ.

გვეშინია, რომ ისევე, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პირველ წლებში და პერმანენტულად შემდეგაც, ვიღაცამ ან ვიღაცების ჯგუფებმა, სიმართლის თქმისთვის სამშობლოს მოღალატის იარლიყი არ მოგვაკერონ; ან სიძულვილით არ შეგახსენონ – შენს წინაპრებში ზოგიერთი არაქართველი ურევია... და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

ჩვენ ვართ პოსტსაბჭოთა პერიოდის ინერციის არქაული საზოგადოება, ყოველივე სახელმწიფოებრივისადმი მტრულად და ეჭვით განწყობილი.

ჩვენ შიშის გვეშინია, და შიშის შიშისაც.

და სანამ ეს ასეა, სინამდვილეში შენი ქვეყნის ნამდვილი ერთგული შვილი, საუბედუროდ, მხოლოდ მაშინ ხდები, როცა ყველაზე მცირე, ორჯერ მაინც შენივე სამშობლოს მოღალატედ არ გამოგაცხადებენ!

და სანამ ეს ასე ხდება, ჩვენ ყველანი ერთად მართლაც ვღალატობთ სამშობლოს.

ჩვენ ასეთები, სწორედ ასეთები, ჯერჯერობით ასეთები, დღეს, ყველანი, სამშობლოს მოღალატეები ვართ!

სუფრის იდეოლოგიით, სამიტინგო ფრაზებით ქვეყანა არ იმართება. ამაში ხომ დავრწმუნდით.

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ და ჯოჯოხეთურ ომში ჯოჯოხეთურად დამარცხებული გერმანია სინდისითა და მონანიებით აღორძინდა.

სინდისი და კათარზისი ჩვენი ქვეყნის მთავარი ორიენტირები უნდა გახდნენ!

სინდისიც და სიყვარულიც (როგორც უსამართლოდ გავცვითეთ ეგ სიტყვა - „სიყვარული“, როგორ დავუკარგეთ პირვანდელი სახე) უნდა ვითანამგზავროთ სახელმწიფოს მართვისას. არადა, ამ ცნებებს არა მარტო ჩვენს კონსტიტუციაში, კანონებსა და წესებში, სხვა ქვეყნების კონსტიტუციებში, კანონებსა და წესებშიც არ მოეპოვებათ ადგილი, მიკროსკოპითაც ვერ მოძებნით – ისინი ხომ იურიდიული ცნებები არ გახლავთ.

„სინდისის პატიმრები“ – მხოლოდ ამ კომპოზიტში თუ მიაგნებთ სინდისს. პატიმარი და ისიც სინდისის! დამნაშავე სინდისი, ოთხ კედელში გამომწყვდეული! და მტრისას, თუ მან იქიდან გამოაღწია!

ჩემთვის, აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი კაცისთვის, უზენაეს მუსიკასავით ჟღერს „აფსუარას“ - დაუწერელი, ზნეობისა და ღირსების კოდექსის ცნებები. ერთ-ერთი მისი წესი გვაუწყებს - „ ის, რაც კანონით ნებადართულია, მაგრამ შენი სინდისი მისი გაკეთების უფლებას არ გაძლევს, არ გააკეთო“.

სანამ კონსტიტუციები, კანონები, წესები არ გაადამიანურდებიან, მსოფლიოს პრობლემები თავზე საყრელი ექნება.

მაგრამ, მოდით, მსოფლიოს თავი დავანებოთ და, ჩვენს პრობლემებს დავუბრუნდეთ.

ადვილად, საოცრად ადვილად ვპოულობთ მტრებს. ადვილად და სწრაფად. საკმარისია ჩვენი ერთი-ორი როყიოდ ნათქვამი ფრაზა და მეგობარიც ჯერ ყოფილ მეგობრად, შემდეგ კი მოწინააღმდეგედ გვექცევა. დამოუკიდებლობის 25 წლის მანძილზე გარე თუ შიდა მოწინააღმდეგეების სოლიდურ კოლექციას მოვუყარეთ თავი.

ძალიან გაგვიადვილდა და ძალიან შევეჩვიეთ კიდეც ერთმანეთის ღირსების შემლახველ ქმედებებს. ერთმანეთის სიტყვიერ განწირვაში, ღლიცინში, დაცინვაში, ღადავში, შაყირში იხრჩობა თითოეული ჩვენგანის საერთო ღირსება.

ამას რთული კვლევა არ ჭირდება – სანახავია მხოლოდ ჩვენს ზოგიერთ ტელედებატებში მონაწილე ტელეგლადიატორები და მათი გადაცემის სიმძაფრით გაბრწყინებული ტელეწამყვანები.

აგრესიულ ტელეგადაცემებს ხშირად სოცქსელების ზოგიერთი მომხმარებლის აგრესია ბევრად აჭარბებს.

ერთმანეთის სიძულვილის მორევში თაობები გამოვზარდეთ და ზოგიერთი გაოცებული კითხულობს – საიდან ასეთი ცუდი თაობა?! არადა, იმ ზოგიერთებს უნდა უკვირდეთ ჩვენი პირადი მაგალითებით, ჩვენი სიძულვილით აღზრდილი თაობა როგორ გახდა ასეთი კარგი, ასეთი ნათელი, სუფთა, საიმედო.

ზრდაშეჩერებულია პოლიტკულტურა. 90-იანი წლების ზოგიერთი პოლიტლიდერის შემყურეებს დეჟავიუ გვემართება.

ჩვენ არ გვინდა, ერთმანეთი ღირსეულები, კარგები, მართლები ვნახოთ. თუ რომელიმე ჩვენგანზე რაიმე კარგი გაჟღერდა, აუცილებლად გამოჩნდებიან „სხვა ჩვენები“, რომლებიც აუცილებლად მაკომპრომიტირებელ ამბებს, ჭორად გაგონილს, უამრავ სიცრუეს გავრცელებენ იმ ადამიანზე.

ჩვენ ერთმანეთის პროკურორები და მარადიული ბრალმდებლები გავხდით. და ჩვენსავე მიერ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს კვლავ და კვლავ ერთმანეთთან სასტიკ დაპირისპირებაში ვხედავთ.

ყოველივე ცუდს უსწრაფესად ვხდით პოპულარულს, ხოლო კარგს - მივჩქმალავთ.

ჩვენ არ გვინდა, კარგი საქართველო გვქონდეს. კარგი ქვეყანა კი კარგი ადამიანების გაერთიანებაა. ისე ვცხოვრობთ, თითქოს წინ კიდევ რამდენიმე სიცოცხლე გვაქვს. თითქოს რამდენიმე სათადარიგო სამშობლოს ვფლობთ.

ჩვენი ქვეყანა დღეს ისეთია, როგორებიც ვართ ჩვენ, ყველანი ერთად.

ჩვენი შვილების ქვეყანა ხვალ და ზეგ ისეთი იქნება, როგორებიც იქნებიან ჩვენი შვილები, ყველანი ერთად.

სიძულვილი ხშირად ვითანამგზავრეთ იმ გზაზე, სადაც სიყვარულით უნდა გვევლო. ჩვენს დანაშაულებებს შეცდომები შევარქვით და თავს ასე გულუბრყვილოდ ვიტყუებთ - ყველაფერში სხვები არიან დამნაშავეები, ყველაფერში! ჩვენ? ჩვენ კი, რა თქმა უნდა, ანგელოზები ვართ.

მაგრამ არავინ იქნება ბედნიერი, სანამ ამ ქაოსს, ამ ქართულ ბაბილონს არ მოვანესრიგებთ - სამართლიანობითა და სინდისით. სხვანაირად არ დამთავრდება ჩვენი ქრონიკული დამარცხებები, ქრონიკული უკუსვლები, ქრონიკული პრობლემები.

და კიდევ დიდხანს, დიდხანს ვისხდებით განვითარებული ქვეყნების მისაღებში მარადიული თხოვნით – „მიგვიღეთ რა თქვენს ოჯახში“.

იმ მისაღებში ჩვენ განა მხოლოდ ვსხედვართ?! უკვე რამდენი წელია, ვცხოვრობთ კიდეც იქ.

ილუზიებით, ჭორებით, დაპირისპირებებით, შიშით ქვეყნის მართვა ჩვენი წარსულის ჯოჯოხეთურ წლებს უნდა დავუტოვოთ. იმ წარსულს, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერაც გვერდით მოგვყვება და რის გამოც მომავალი ჰორიზონტივით გაგვირბის. რის გამოც ხშირად ზღვარს ვერ ვხედავთ ქვეყნის გადამრჩენელ და ქვეყნის დამღუპველ გზებს შორის.

ხანდახან ასე მგონია, რომ სულ ესესაა გამოვედით გამოქვაბულიდან. ან ძალიან ახლოს ვდგავართ მასთან (მომიტევეთ).

ზნეობა და სინდისი ზეციური საჩუქრებია. ისინი ის კოსმოდრომებია, სადაც ყველაზე ხშირად უნდა ვიკრიბებოდეთ. სამწუხაროდ, რაც დრო გადის, მათი სივრცე მცირდება.

(გაგრძელება ხვალინდელ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 100

სირცხვილი იმ გუთნისდედას!

„მშობლიურო ჩემო მიწავ...“

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

გულმდუღარედ კითხულობდა მწარე ეჭვებით გულგასენილი ილია ჭავჭავაძე, საუკუნენახევრის წინათ. წმინდა ილია მართლის თაობამ და მათ მიერ დაკვალიანებულმა ერმა სამივე ღვთაებრივი საუნჯე მოიტანა ჩვენამდე, მაგრამ ჩვენ? ვართ კი კაცები და შეგვიძლია, პასუხი გავცეთ აქ შთამომავლობას, იქ კი წინაპრებს? ვაი, რომ საიმედოს ვერავინ ვერაფერს იტყვის დღეს!

თვალი და გონება თუ არა აქვს დაბნელებული, ყველა ხედავს, რომ ქართული ენა, რომელსაც, ფორმალურად, სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მინიჭებული, აბუჩად აგდებული, დამცირებული და უგულებელყოფილია. ტელევიზიის წამყვანები, კომენტატორები, მიმომხილველები, სატელევიზიო შოუების მსახიობებზე რომ აღარაფერი ვთქვა, უღმერთოდ რყვნიან და ამახინჯებენ ქართულს; პრესის ფურცლებზე ისეთი ტექსტები იბეჭდება, წერა-კითხვის მცირემცოდნეებსაც რომ გულზე შემოეყრებათ. ორიოდე გაზეთიღა დარჩა, რომლებიც არ ღალატობენ საკუთარ პროფესიულ ღირსებას, მაგრამ ისინი რას გაანყობენ ქართულ ენაზე მასირებული შეტევის ქარტეხილში?, მაღაზიების, რესტორნების, სასტუმროთა, თუ სახელმწიფო დაწესებულებების აბრებზე თითქმის გაქრა ქართული წარწერები; რაიმე ორგანიზაციის ინგლისური დასახელება ზოგან ქართული ასოებით წერია, ეგ არის და ეგ!

მწერლობაზე ხომ... ახლა ფულს თუ გადაიხდი, რაც გინდა იმას გამოსცემ. აღარც რედაქტორები, აღარც სტილისტები, აღარც კორექტორები არსებობენ. ისე წიგნის სატიტულო ფურცელზე ზოგჯერ რედაქტორისა და რეცენზენტის გვარებსაც წააწყდები, მაგრამ რად გინდა მერე? ზოგს წაკითხულიც არა აქვს მისი სარედაქტორო წიგნი, ზოგმა კი, ალბათ, ავტორზე მეტი არ იცის.

აი, ამ დღეშია მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ერთი ღვთაებრივი საუნჯე!

ჩვენს სარწმუნოებაზე როგორი შეტევაც ხორციელდება, მართლმადიდებლობის პირსისხლიან მტერს, საერთაშორისო ავანტიურისტ ლეიბა ტროცკისაც (ბრონშტეინსაც) კი შეშურდებოდა. შეტევა ხორციელდება, როგორც ფარულად, ისე აშკარად. აშკარა შეტევას, ძირითადად, მკბენარებივით გამრავლებული და სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ავადსახსენებელი არასამთავრობოები ახორციელებენ, რომელთა მსუყე ცხოვრებას საქართველოს გარეშე და შინაური მტრები უზრუნველყოფენ. ფარულ შეტევას კი, ასევე გარეშე მტრების მიერ დანიშნული ხელისუფლება ახორციელებს, სულელი ქართველების უნებლიე მხარდაჭერით. ყოველ ნაბიჯზე — მეტროს სადგურებთან, ავტობუსების ხალხმრავალ გაჩერებებზე მდგარი, ლიტერატურითა და ათასნაირი თვალსაჩინოებით აღჭურვილი იეღოველების ჯგუფები, ქუჩებში საგანგებოდ გამოწყობილი მათივე წარმომადგენელი აგიტატორების სიმრავლე, მეტროს შესასვლელებთან მათხოვრების გვერდით მდგომი საეკლესიო სამოსელით შემოსილი, ყულაბებთან მდგომი „მოწყალების“ შემგროვებლები... განა ეს ეკლესიაზე ფარული შეტევა არ არის? ყოველ უბანში ეკლესიების მშენებლობის ბუმია, რომელსაც ხალხი უკვე საეკლესიო ბიზნესს უწოდებს, განა ეკლესიის ავტორიტეტის დევალვაცია არ არის? ახლა სამღვდელოების უმაღლესი იერარქიების ერთი ნაწილის შესახებ ხალხში დამკვიდრებული „კუპრივით შავი“ მითქმა-მოთქმა, რომელიც უკვე სახელმწიფო ორგანოების მიერ სამართლებრივად არის რეაგირებული...

ბზეჟინსკის მიერ კარგა ხნის წინათ გახმაურებული მიზანი... სრულდება!

ისე, რომ მამა-პაპათაგან დანატოვარი მეორე ღვთაებრივი საუნჯე, ასეთ სავალალო მდგომარეობაშია ახლა!

ენასა და სარწმუნოებას, ძნელბედობის მიუხედავად, ასე თუ ისე, მაინც ინახავს და შეინახავს ჭეშმარიტი ქრისტიანი და პატრიოტი ქართველობა, როგორ უმცირესობაშიც უნდა აღმოჩნდეს იგი, მაგრამ მამულს...

დღევანდელი საქართველოს პარლამენტმა, რომელიც ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი უმთავრესი თავსატეხია თავისი „კვალიფიციური“ შემადგენლობით, „საერთო-სახალხო განხილვაზე“ გამოიტანა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც შეტანილია მუხლი, უცხოელებზე მიწების მიყიდვის თაობაზე, იმ მიწებისა, რომელსაც ოცდაათი საუკუნის განმავლობაში სისხლით იცავდნენ ჩვენი წინაპრები უცხოელ დამპყრობლებთან ომებში.

ახლა?

ახლა ჩვენი მტერი და დუშმანი, როგორც დიდმა ილიამ გაგვაფრთხილა, კარგა ხნის წინათ, ხმლითა და თოფით კი აღარ მოდის, არამედ ცოდნითა და ფულით მოდის, რასაც დიდი გასავალი აქვს ღირსებააყრილ და თავმოყვარეობა დაკარგულ ქვეყანაში, ჩვენ რომ ვართ ისეთში!

ქვეყნის გამყიდველ, უსამშობლო მანქურთებს, წვეთი სისხლი რომ არ არის მათ ძარღვებში ქართული, ასეთი ბრიყვული პასუხი აქვთ: რა მოხდა მერე, უცხოელებს თუ მივყიდითო მიწებს, ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ და წაიღებენო თავიანთ ქვეყანაში? ისევ ჩვენში არ დარჩებაო ის მიწები?

ამ დედაგანათლებულებსა და მამაცხონებულებს მივმართავ: თქვე, მართლა, უგუნურებო, მიწას კი არ წაიღებენ თავიანთ ქვეყანაში, არამედ იმ ქვეყნებიდან ჩამოვლენ აქ და ჩვენში ვინც დარჩა, იმათ მოუწევთ აქედან წასვლა, რადგან, მიწა-წყალი აღარ ექნებათ საარსებოდ.

ისე, რომ საფრთხე სასიკვდილოა ჩვენი ერისთვის, რადგან დიდი ფული იმ ქვეყნების ხალხებს აქვთ, რომლებიც დიდ წიაღისეულს ფლობენ და მიწა-წყალი აკლიათ. უდაბნოშია ეს ქვეყნები და იმიტომ! ფული აქვთ, მიწა-წყალი არა! აგერ საქართველოშია ედემი მუქთად და იაფად, რატომ არ იყიდიან, ნეტავი? შვილებიც ბევრი ჰყავთ და შვილიშვილებიც. ქართველებივით ერთ-ორ ბავშვს კი არ შესცქერიან. ქართველები კი ფულზე მამულს კი არა, დედ-მამასაც დაუფიქრებლად გაჰყიდიან. არ ყიდდნენ, თუ რა, მაშინ, როდესაც ქვეყანა უპატრონოდ რჩებოდა ხოლმე. ახლაც უპატრონოდ არის და თუ მოასწრეს ამ ვაგლახებმა მიწა-წყლის გასხვისება, დავით აღმაშენებელიც რომ გაცოცხლდეს, ვეღარაფერს გვიშველის უკვე. ერთადერთი ქვეყანა ისრაელია, რომელმაც ოცდახუთი საუკუნის შემდეგ დაიბრუნა სამშობლო. ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში ახსოვდათ ებრაელებს თავიანთი ვინაობა და სადაურობა, ენა და რჯული!

ოცდახუთი საუკუნე კი არა, მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილი ქართველი ოცდახუთი წლის განმავლობაშიც კი ვერ ინარჩუნებს ენას, ეროვნებასა და რჯულს, არც თავისი ვინაობა ახსოვს და არც სადაურობა! აგერ ჩვენს თვალწინ არ ხდება ეს? ოციოდე წლის წინათ საქართველოდან უცხოეთში ლუკმა-პურის საძიებლად გადახვეწილი ქართველი ცოლ-ქმრის შვილებმა თავიანთი მშობლების ენა არ იციან და აქ დარჩენილ ბებია-ბაბუებს თარჯიმნის გარეშე ვერ ელაპარაკებიან.

ჩვენი ბუნებაა ასეთი: მშობლიურ მიწას მოწყვეტილები ანთეოსივით უწეონი ვხვდებით! არა, ეროვნულ ნიშანწყალს ვკარგავთ, თორემ სხვათა ომებში მამაცურად ბრძოლა შეგვიძლია.

სხვის ომში მხოლოდ სულელები იბრძვიან მამაცურადო, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას ერთი ცნობილი პერსონაჟი ამბობს. მართლაც!

ჩვენი სიძლიერის დროსაც არავისთვის წაგვირთმევია მიწა-წყალი, რადგან კოლონიალიზმი ჩვენი ბუნებისთვის უცხოა, იმავე მიზეზით, რაც უკვე აღვნიშნე: საკუთარ მიწას მოწყვეტილი ქრთველი, ქართველი აღარ არის. აი, სამშობლოს დეკოლონიზაცია კი ნამეტნავად გვეხერხება. დახედეთ, ერთი, საქართველოს რუკას და დაინახავთ, რა დაემართა ასი-ასორმოცდაათი წლის წინ ქართველებით გაძეძგილ ქვემო ქართლსა და ჯავახეთს! დღეს იქ ქართველი სანთლით საძებარია. რატომ? ომი გვქონდა და მტერმა იარაღის ძალით გამოგვაძევა? არა! ჩვენი ნებით მივატოვეთ და მიტოვებულ სახლ-კარს სხვები დაეპატრონენ. მივატოვთ და მერე ვჯავრობთ: **„მე ჯავახეთს რა მიჭირდა, / მთვარე იდგა მზესავითა, / კალმახი და ქერის პური, / წინ მეყარა ბზესავითა“**-ო. ახლა სხვებს უყრიათ წინ ჩვენი დოვლათი. ასევე მივატოვეთ ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი, მთიულეთი და რაჭა-ლეჩხუმი. ახლა ჩვენი ხელისუფლება აუქციონზე თუ გაიტანს ჩვენს მშობლიურ მიწას, რომლის სახელსაც იფიცებდნენ ჩვენი წინაპრები, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვაჭრობა დიდხანს არ გასტანს... და სწრაფად შეივსება ჩვენი დაცარიელებული სოფლები და ნასოფლარები, მიწა-წყალსაც პატრონი გამოუჩნდება, ქვითკირში ჩაკირულ კულტურასაც. „იქნება, ყველაფერი იქნება, მაგრამ ამ ქვეყნად ჩვენ...“ ქართველები აღარ ვიქნებით! ისევე, როგორც ბიზანტიელები აღარ არიან კონსტანტინეპოლში და ეგვიპტელები — ქაიროში. მალე ბიზანტიური ქრისტიანული კულტურის მარგალიტი „აია სოფიას“ ტაძარი ვაითუ მართლა მეჩეთად იქცეს... თურქები დღეს სერიოზულად მოითხოვენ ამას!

აი, პერსპექტივა, რომელსაც გვიქადის უცხოელებზე მიწის გაყიდვის კონსტიტუციური დადასტურება.

რა ჰქვია, მითხარით, იმ ადამიანებს, ვისი ინიციატივითა და ხელშეწყობითაც ეს ხდება?

ქართულ ფოლკლორში შემონახულია ის სახალხო გულისწყრომა, რაც თავს დაატყდა ერთ გაჭირვებულ უმიწაწყლო გლეხს, რომელმაც სხვა რომ ვეღარეფერი მოიფიქრა, თავისი მამა-პაპათა საფლავები გადახნა და ხორბალი დათესა: „სირცხვილი იმ გუთნისდედას, თავის მამის საფლავს ხნავდეს!“

მამულის გაყიდვას რომ აპირებდნენ მამა-პაპათა საფლავებიანა, იმათ რა ეკუთვნით?

ეს კითხვა რიტორიკულია, რადგან ყველა ნორმალურმა, თავისი ქვეყნის პატრიოტმა იცის, რომ მამულის გასხვისება სამშობლოს ღალატია და „სამშობლოს მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის!“

ზურაბ ცუცქირიძე

თაღლითებმა სახელმწიფო ქონება მიითვისეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ღირებულების სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ორგანიზებული ჯგუფის ოთხი წევრი, მათ შორის, სოფელ ლისში, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ყოფილი წარმომადგენელი დააკავა, ხოლო, ერთი პირი, ამავე ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

გამოძიებით დადგენილია, რომ აღნიშნულმა პირებმა, წინასწარი შეთანხმებით, ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტებით, კერძოდ, ყალბი მიღებაჩაბარების აქტებით და მიწის გადასახადის გადამხდელთა ყალბი საგადასახადო სიების გამოყენებით, თაღლითურად მიითვისეს, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული, სახელმწიფოს კუთვნილი 15 000 კვ.მ. (1,5 ჰა) მიწის ნაკვეთი, რომლის რეალიზაციის შედეგად, ბრალდებულები კანონსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ 1 000 000 ლარზე მეტს. დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია ძველი მიღება-ჩაბარების აქტების ცარიელი ბლანკები.

გრძელდება ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების გამოსავლენად.

თავდამსხმელები და ავტომობილი ინდეტიფირცირებულია

შს სამინისტროს მინისტრის ყოფილი მოადგილის გელა ხვედელიძის საქმეზე ადვოკატები ერთ-ერთი სათვალთვალო კამერიდან ამოღებულ ვიდეო-მასალას სრულად ასაჯაროებენ და აცხადებენ, რომ საქმის გამოძიება განზრახ ფერხდება.

როგორც ადვოკატებმა გუშინ „პირველი რადიოს“ რადიოკლუბში განაცხადეს, მათ ხელთ აქვთ ვიდეომტკიცებულება, სადაც სავარაუდო თავდამსხმელები და მათი ავტომობილი ჩანს. ხვედელიძის ადვოკატები აცხადებენ, რომ მათ უკვე შეძლეს, როგორც ავტომობილის სანომრე ნიშნის იდენტიფიცირება ასევე, სავარაუდო თავდამსხმელების ვინაობის დადგენაც.

◎ კვალი დროში

მისი მთავარი ცხოვრებისეული კრედო: აკეთოს სიკეთე და უყვარდეს მოყვასი

❀ ანზორ მაისურაძე 80 წლისაა ❀

თითქოს, ერთი ამოსუნთქვით გაირბინა სამ ათეულ წელზე მეტმა იმ დღიდან, როდესაც წილად მხვდა ბედნიერება გამეცნო შესანიშნავი პიროვნება, ღირსეული მამულიშვილი და სამაგალითო პროფესიონალი, ბატონი ანზორ მაისურაძე.

ჩემთვის იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ბატონი ანზორის სახით საქმე მქონდა უაღრესად განათლებულ, შესანიშნავ პროფესიონალ და დიდბუნებოვან ადამიანთან. ის, ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის დღემდე სამაგალითო და მისაბაძ პიროვნებად რჩება.

ვისაც ბატონ ანზორთან ოდესმე ჰქონია შეხება, დამერწმუნება, რომ მსგავსი უმაღლესი პასუხისმგებლობით გამსჭვალული პროფესიონალი, შესანიშნავი ხელმძღვანელი და, ამავდროულად, სათნო ადამიანი იშვიათი მოვლენაა, მით უმეტეს ჩვენს ბობოქარ და ზნეობრივი დეფიციტით გაჯერებულ საზოგადოებაში.



რა რანგშიც არ უნდა ყოფილიყო ბატონი ანზორი – თბილისის მე-6 ვაჟთა სკოლის მოსწავლე თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი, სადაც არ უნდა ემოღვაწა – რუსთავის ქიმიურ კომბინატში თუ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში (მათ შორის უმაღლეს თანამდებობებზე), აგრეთვე საზღვარგარეთ – იორდანიასა და ერაყში გრძელვადიან მივლინებებში, მთელ მის შეგნებულ ცხოვრებას ლაიტმოტივად გასდევდა და გასდევს ერთი უმთავრესი ზნეობრივი ხაზი: აკეთოს სიკეთე და მხოლოდ სიკეთე, უყვარდეს მოყვასი თვისი და სამშობლო საქართველო!

ბატონ ანზორს ცხოვრების დაწყება მეორე მსოფლიო ომის მძიმე პირობებში მოუწია. აქედან გამომდინარე, მის თაობას რთული ბავშვობა ჰქონდა, თუმცა ამან ბავშვობის მეგობრები კიდევ უფრო შეაკავშირა და შეადუღაბა, შრომისა და სწავლის მისწრაფებები გაუღვივა. მათი ურთიერთობა, რასაც ისინი დღემდე თვალისჩინივით უფრთხილდებიან, მისაბაძი მაგალითი და პატივსაცემია.

ბატონი ანზორის ცხოვრებაში დადებითი როლი ბევრმა პიროვნებამ შეასრულა, მაგრამ მათ შორის გამორჩეულია ორი მანდილოსანი: დედა, ქალბატონი თამარი, რომელმაც ურთულეს პირობებში ორი ვაჟი და შემდგომ შვილიშვილები აღზარდა და დააფრთიანა და მეუღლე, შესანიშნავი პიროვნება, განათლებული, ბუნებით არისტოკრატი, კარგი დედა და, ამავდროულად, მისი მთავარი მესაიდუმლე, ქალბატონი შუქური თალაკვაძე. პროფესიული საქმიანობის პროცესში ამ უკანასკნელს ბატონი ანზორისთვის, როგორც სპეცსამსახურის ოფიცრისათვის, უაღრესად დიდი როლი ეკისრებოდა, ის მისთვის ნამდვილი „ზურგი“ იყო.

ბატონი ანზორის ცხოვრებაში უმძიმესი მომენტი 1997 წელს დადგა, როდესაც ტრაგიკულად დაიღუპა მისი უფროსი ვაჟი დათო მაისურაძე. ასეთ პირობებში შვილის მოვალეობის მძიმე ტვირთის ზიდვა მის უმცროს ვაჟს გიგა მაისურაძეს მოუწია, რასაც ის დღემდე ღირსეულად ატარებს. ბატონი ანზორისთვის მომავალი დიდი იმედი მისი შვილიშვილები ეკატერინე (კატო) და ელისაბედი (ლისა) არიან, მათ ცხოვრების დიდ ასპარეზზე წარმატებები მინდა ვუსურვო.

უცებ გაირბინეს წლებმა და ბატონი ანზორი დღეს უკვე 80 წლისაა.

მიუხედავად ასაკისა, ის დღემდე საზოგადოებისთვის სიკეთის მოტანას და საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემურ საკითხებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით, სპეცსამსახურების თვალთახედვიდან საკუთარი მოსაზრებებისა და შეხედულებების გაცნობას ცდილობს.

სამწუხაროდ, ბატონი ანზორის პედაგოგიური და პროფესიული შესაძლებლობები შესაბამისმა სახელმწიფო ინსტიტუტებმა ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში სათანადოდ ვერ გამოიყენეს, რითიც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი პროცესი – მემკვიდრეობითობის პრინციპი დაირღვა და მომავალ თაობას, გარკვეული თვალსაზრისით, პროფესიული მიმართულებით აღზრდა დააკლდა.

ბატონ ანზორს, ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით კიდევ ერთხელ ვულოცავ იუბილეს, დაბადებიდან 80 წლისთავს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, სულის მხნეობასა და შემდგომ ოჯახურ იდილიას.

გელა სულაძე

განახლდება ფიროსმანის ქუჩა

თბილისის მერია და ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“ ფიროსმანის ქუჩის რეაბილიტაციას გეგმავს. ქუჩის განვითარება და რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები 2017 წლის ბოლომდე მომზადდება, ხოლო ფიზიკური სამუშაოები 2018 წელს დაიწყება.

ფიროსმანის ქუჩაზე დაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებით მოსახლეობას თბილისის მერი დავით ნარმანია, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, დეპუტატი რიმა ბერაძე, თბილისის „განვითარების ფონდის დირექტორი“ გიორგი ბაიდარაშვილი და ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წარმომადგენლები შეხვდნენ.

„დღეს შევხვდით ჩუღურეთის რაიონის მოსახლეობას და ვისაუბრეთ მათთან ფიროსმანის ქუჩის მოწესრიგების სამუშაოებზე. ეს ჩვენი წინასაარჩევნო დაპირება იყო და შემდგომ პერიოდში დგება ის დრო, როდესაც მნიშვნელოვანი პროექტები უნდა მოვამზადოთ ამ უბნის განვითარებასთან დაკავშირებით. მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა, მოწესრიგდება საცხოვრებელ სახლებში არსებული მდგომარეობა და ამ ადამიანების ცხოვრება გახდება გაცილებით უკეთესი, ვიდრე დღეს არის,“ – განაცხადა დავით ნარმანიამ.

ფიროსმანის ქუჩის აღდგენა და განახლება პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით განხორციელდება და ქუჩაზე მდებარე 40-მდე შენობას რეაბილიტაცია ჩაუტარდება.

დავა

მაინც რა ღირს სინათლე ჩვენს ფანჯრებში?

საქართველოს სამომხმარებლო ენერგობაზრის ბოლოდროინდელი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე სხვადასხვა მიზეზით წარმოშობილი დავებია, რომელთაგან საქართველოსთან კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ შემდეგ, კიდევ ერთმა, ამჯერად რუსეთის ერთ-ერთმა უდიდესმა ენერგოკომპანია „ინტერ რაომ“ წამოიწყო. რუსეთული კომპანიის პრეტენზია, მისი იურისტების განცხადებით, ბოლო თვეების მანძილზე ლარის გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის შევსებას ეხება, რომელიც ათობით მილიონ დოლარს შეადგენს და რასაც ის საქართველოს მთავრობისგან მოითხოვს.

საქმე ისაა, რომ რუსეთული ენერგომონოპოლისტის „ინტერ რაოს“ სტრუქტურები, ნიდერლანდში რეგისტრირებული „სილქ როუდ ჰოლდინგ ბ.ვ.“ და „გარდაბანი ჰოლდინგ ბ.ვ.“, რომლებიც საქართველოში სს „თელასის“ 75 პროცენტს, ასევე ჰიდროელექტროსადგურების „ხრამი-1“-ისა და „ხრამი-2“-ის 100-პროცენტიან წილებს ფლობენ, ორ ქვეყანას – საქართველოსა და ნიდერლანდს შორის დადებული „სტიმულირებისა და ინვესტიციების დაცვის შესახებ შეთანხმებით“ არიან დაცული. რუსეთული გამოცემა „ტასის“ ცნობით, სწორედ ამ და მსგავს სხვა შეთანხმებათა საფუძველზე საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსის შემცირების შედეგად მიყენებული ზარალი, ჰოლანდიაში რეგისტრირებულ „ინტერ რაოს“ შვილეულ კომპანიებს საქართველოს მთავრობამ უნდა აუნაზღაუროს.

რუსეთელთა აზრით, საქართველოს მხარემ არ შეასრულა აღნიშნული გარანტიები, რომლებიც „ინტერ რაოს“ შვილეული კომპანიების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ტარიფებს ეხებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მისმა შვილეულმა კომპანიებმა საქართველოს პრეზიდენტს, ასევე საგარეო საქმეთა, იუსტიციისა და ენერგეტიკის მინისტრებს საარბიტრაჟო სასამართლოში დავის წამოწყების შესახებ უწყებები გაუგზავნეს. საბაბად კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სტიმულირებისა და ინვესტიციების დაცვის შესახებ შეთანხმების“, აგრეთვე „ენერგეტიკული ქარტიის“ დებულებათა დარღვევებია მითითებული.

ეს, ასე ვთქვათ, მოდავის პოზიციაა ზოგადად. მაგრამ, ცხადია, ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა ჩვენი პოზიციის გამყარების არგუმენტები, რის თაობაზე სემეკის თავმჯდომარემ **ირინა მილორავამ** საგანგებოდ განაცხადა, რომ ახალი ტარიფები კომისიამ 2015 წელს მიღებული ახალი სატარიფო მეთოდოლოგიით დაადგინა და მათში ყველა დასაბუთებული ხარჯია ასახული.

– ის კი, რაზეც „ინტერ რაოს“ შვილეული კომპანიები აპელირებენ, მათ მიერ საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის პირობებშია მითითებული, – განაცხადა ირინა მილორავამ, – კომისიამ აღნიშნული პირობები კი არა, არამედ, უწინარესად, სატარიფო მეთოდოლოგია გაითვალისწინა. კერძოდ, როცა 2015 წელს პირველი ტარიფი „თელასისთვის“ დავითვალეთ, ისინი დაახლოებით 40 პროცენტით გაიზარდა, რაც უმთავრესად, დოლარის მიმართ ლარის კურსის ცვლილებით იყო განპირობებული.

ქალბატონმა მილორავამ ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი ტარიფი მემორანდუმით მისაღებ შედეგს შეესაბამება და 2015 წელს დადგენილ ახალ ტარიფშია გათვალისწინებული. 2016 წლის სატარიფო განაცხადთან დაკავშირებით კი, მისი მომატების მოთხოვნა კომისიამ იმის გამო არ დაკმაყოფილა, რომ საამისოდ აუცილებელი წინაპირობა არ არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელობის პოზიციას სავსებით იზიარებენ ენერგეტიკის დარგის წამყვანი სპეციალისტები და ექსპერტები. მათი საერთო აზრით, მოქმედ ტარიფს, რომელიც „ინტერ რაოს“ და საქართველოს შორის დადებული მემორანდუმითაა დადგენილი, ლარის დევალვაცია ვერ აზარალებს, ვინაიდან ეს წინდაწინვეა გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, „ინტერ რაოს“ მიერ კომპენსაციის მოთხოვნა არ არის მართებული, რადგან ამჟამად მოქმედი ტარიფი, როგორც აღვნიშნეთ, ისედაც მაღალია. თანაც, ქართულ ბაზარზე კომპანიის თითქმის 20-წლიანი მუშაობის მანძილზე, წლების განმავლობაში ლარს გაცილებით მყარი პოზიცია ჰქონდა დოლარის მიმართ, მაგრამ მაშინ რუსული კომპანიის მესვეურთ სამომხმარებლო ტარიფის დაწევა თავში აზრადაც არ მოსვლიათ.

ოთარ ტურაბელიძე

„ჩუენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატოვანმან“...

საქართველოს სამეფო სახლი გუშინ, დღეს...

ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII

საქართველოს ისტორია მეფეთა ისტორიაა, ილია ჭავჭავაძე საყვედურობდა, ხალხი არ ჩანსო.

მართლაც ასეა.

მაგრამ საქართველოს მეფეთა ისტორია ბაგრატიონთა ისტორიაა, ის 1200 წელს მოიცავს.

საქართველო ბაგრატიონთა სამკვიდრო მამულ-დედულია, ამიტომაც იყო საქართველოს ისტორია ბაგრატიონ მეფეთა ისტორია, ხალხი კი — მათზე მინდობილი. ისინი ბედისწერით გადაეჯაჭვნენ ერთმანეთს.

ქართველი მეფეები მარჯვენა მხარზე არწივის ნიშნით იბადებოდნენო, ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო წერს.

არწივი მეფეთა სიმბოლოა. ქართველი უფლისწულები დიახაც უნდა დაბადებულიყვნენ არწივის ნიშნით, რომელიც საუკუნეთა მიღმა დააფრინდა მხარზე ბაგრატიონებს.

საქართველო და ბაგრატიონები იმდენად განუყოფელ ცნებებად იქცნენ, რომ მძიმე ვითარებაშიც კი სამეფო დინასტიის შეცვლის საკითხი არ ისმებოდა. მათი ტახტიდან ჩამოშორება ქართველობის წინააღმდეგ ბრძოლად აღიქმებოდა და დამპყრობთათვის მწვავე უკურეაქციის საშიშროებას შეიცავდა.

საქართველოს სამეფო გვარი ბიბლიური იესე-დავით-სოლომონის შთამომავლად თვლის თავს, ამიტომ იწოდებიან „იესიან-დავითიან-სოლომონიანებად“, ამდენად — ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს პირდაპირ შთამომავლებად. მათ ქართველ მეფეთა პირველ დინასტიასთან — ფარნავაზიანებთანაც ანათესავებენ.

ზოგი წყარო ბაგრატიონთა არწივის საქართველოს ცარგვალზე აფრენას VI საუკუნით ათარიღებს და დინასტიის ფუძემდებლად გუარამ ერისმთავარს მიიჩნევს (აკი „გუარამიანთასაც“ უწოდებენ), მეორენი კი — VIII საუკუნით. ამ დროს საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ძვრები ხდება: იქმნება კახეთის, ჰერეთის, ტაოს, კლარჯეთის სამთავროები, თბილისის საამირო, აფხაზეთის სამეფო.

მალე თანდათანობით გაძლიერდა ტაო-კლარჯეთის სამთავრო, რომლის დამაარსებელიც აშოტ I კურაპალატი იყო (საფუძვლის ჩაყრა კი მისი მამის ადარნასეს დროს დაიწყო). ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გვარში ორი შტო გამოიყო. სწორედ ტაოს წარმომადგენელი იყო ბაგრატ III, რომელიც 1001 წელს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე გახდა.

XII საუკუნის პირველი მეოთხედიდან XIII საუკუნის პირველ მეოთხედამდე (დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქა) საქართველო წინა აზიაში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო: ნიკოფსიიდან — დარუბანდამდე და ოვსეთიდან — არაგაწამდე. მაგრამ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა შეაჩერა მონღოლთა და სხვა დამპყრობთა განუწყვეტელმა შემოსევებმა (მხოლოდ გიორგი V ბრწყინვალის დროს მოხერხდა საქართველოს ძლიერების აღდგენა მცირე ხნით).

XV ს. ბოლოს ერთიანი სამეფო ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად: ქართლის, იმერეთის, კახეთის სამეფოებად დაიშალა. ყველა ამ სამეფოს სათავეში ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლები დასხდნენ (საერთოდ, საქართველოში არაბაგრატიონი მეფედ არ აღიქმებოდა. თვით სამეფო სახლში არსებობდა მტკიცე აზრი, რომ ბაგრატიონთა გვარის გარეშე საქართველოს მართვა შეუძლებელია, „სხუა მეფე არა უფლებულ არს ჩვენს ზედა“).

კახეთის ბაგრატიონთა სამეფო შტოს ფუძემდებელი გახდა გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (რომელიც აერთიანებდა მამის ხაზით დავით ულუს (აღმოსავლეთ საქართველოს) და დედის ხაზით დავით ნარინის (დასავლეთ საქართველო) შტოებს, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერთიანი სამეფო ხაზის ლეგიტიმაციისთვის; იმერეთის სამეფო დინასტიისა — გიორგი VIII-ის მამის ალექსანდრე I დიდის უმცროსი ძმის გიორგის შვილიშვილი ალექსანდრე ბაგრატის ძე; ქართლის სამეფო დინასტიას სათავე დაუდო გიორგი VIII-ის ბაბუის კონსტანტინე I-ის უმცროსი ძმის დავითის შვილიშვილმა კონსტანტინე დემეტრეს ძემ.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლას ბაგრატიონთა საგვარეულო სახლის არაერთი განშტოების წარმოშობა მოჰყვა: ბაგრატიონ-მუხრან-ბატონების, ბაგრატიონ-დავითიშვილების, ბაგრატიონ-ბაბადიშების, ბაგრატიონ-გოჩაშვილების, ბაგრატიონ-რამაზიშვილების თავადური განშტოებები...

მომდევნო საუკუნეებში გიორგი VIII-ის პირდაპირი შთამომავლები ცდას არ იშურებდნენ ერთიანი სამეფო ტახტის აღდგენისათვის, რაც საბოლოოდ დააგვირგვინა კიდეც ერეკლე II-ემ — ერთ სახელმწიფოდ შეკრა ქართლი და კახეთი; პოეტისა არ იყოს, „რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი და ხმლით შემოვარდნილა ერეკლე ბატონი“. 1790 წელს დაიდო საქართველოს სამეფოებისა და სამთავროების „ერთ გუამად შეერთებაზე“ „ივერიელთა ტრაქტატის“ სახელით ცნობილი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ერეკლე II აღიარეს სრულიად საქართველოს სუვერენად „ვითარცა მამა საზოგადო მათი“, რასაც ხელს აწერენ იმერეთის მეფე სოლომონ II, გრიგოლ დადიანი და სიმონ გურიელი (სუვერენობა შემდეგ მემკვიდრეობით გადაეცა ერეკლე II-ის ძეს ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს გიორგი XII-ეს.

1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ძალადობრივად გააუქმა საქართველოში მონარქია. რუსეთში დედაწულიანად გადასახლების შემდეგ ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის შვილები ბატონიშვილის ტიტულს ინარჩუნებენ. **მათ შთამომავლებს 1833 წელს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭათ ტიტული — თავადი გრუზინსკები (იმერეთის მეფის შთამომავლებს — იმერეტინსკები), 1865 წელს კი — ქართლ-კახეთის მეფეების ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის შთამომავლებს (და იმერეთის მეფეთა — ალექსანდრე V-ის, სოლომონ I-ისა და დავით II-ის შთამომავალთა ნაწილს) „უგანათლებულესის“ ტიტული მიენიჭათ,** ხაზგასასმელია, რომ ეს ტიტული ვერ მიიღო ვერც ერთმა სხვა შტომ, მათ შორის ვერც ვახტანგ VI-ისამ.

დღეს ბაგრატიონთა სახელოვანი გვარის !50-ზე მეტი შთამომავალი ცხოვრობს საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ. ბუნებრივია, ყველა მათგანი საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე ვერ იქნება. ამიტომ სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მკვლევართა წინაშე საქართველოს სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრის საკითხი დადგა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ მანამდე, XX ს. 40-იან წლებში გახდა აქტუალური გარკვეული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. სწორედ მაშინ ამოტივტივდა თავადაზნაურ ბაგრატიონ-მუხრანბატონთა უმცროსი შტო, რომელიც 1921 წლის შემდეგ საქართველოდან დასავლეთ ევროპაში გადასახლდა. მათი შთამომავლები ცხოვრობენ საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში; დაუნათესავდნენ ევროპის სხვადასხვა სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს. 1946 წ. 5 დეკემბრის აქტით რუსეთის ტახტის მემკვიდრემ ვლადიმერ კირილეს ძე რომანოვმა, რომელიც ცოლად ირთავდა გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელის ასულს ლეონიდას, ხელი მოაწერა ბაგრატიონთა სახლის სამეფო ღირსების აღიარების აქტს და ოფიციალურად ცნო ეს განშტოება უფროსად ბაგრატიონთა საგვარეულოში. 1957 წ. გიორგი მუხრანბატონის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ვაჟმა ირაკლი ბაგრატიონმა თავი საქართველო სამეფო ოჯახის მეთაურად გამოაცხადა.

ბაგრატიონთა საგვარეულოში უფროსობის ამა თუ იმ შტოსთვის მიკუთვნება სწორედ რომ არ იყო ვლადიმერ კირილეს ძის პრეროგატივა, მით უფრო, რომ მისმა წინაპრებმა ჯერ კიდევ 1783 წლის ტრაქტატით საგვარეულოში მხოლოდ ერეკლე II-ის შტოს უფროსობა და ლეგიტიმურობა ცნეს ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე. სხვათა შორის, ირანიც მათ უჭერდა მხარს.

აქ თავისი სიტყვა უნდა ეთქვა ქართულ მეცნიერებას.

2003 წელს მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოებამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და „ბაგრატიონთა სახლმა“ გამოსცეს კოლექტიური ნაშრომი **„ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა“ (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი აკად. როინ მეტრეველი).** ამ პოლიგრაფიულად უმაღლეს დონეზე გამოცემულ სქელტანიან ტომში შესულია ცნობილ ქართველ მეცნიერთა შრომები ბაგრატიონთა საგვარეულოს შესახებ, წარმოჩენილია მათი ისტორია და როლი საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ის დიდი ამაგი, რაც საგვარეულოს წარმომადგენლებმა დასდეს საქართველოს, ქართველ ხალხს. თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი საგვარეულოს უფროსი თუ უმცროსი შტოები.

2007 წელს აკადემიკოსების **მარიამ ლორთქიფანიძისა და როინ მეტრეველის რედაქტორობით გამოვიდა მშვენიერი ცნობარი „საქართველოს მეფეები“,** რომელიც ამომწურავ, დაზუსტებულ ინფორმაციას გვაწვდის ჩვენს მონარქებზე, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა ბაგრატიონია.

2009 წელს თბილისში დაარსდა საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია. მან შარშან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, გამოსცა დოკუმენტების კრებული **„ბაგრატიონები, სამეფო ტახტის მემკვიდრე“ (შემდგენლები: საქართველოს სამეფო სახლის კანცლერი კახა ქორიძე და „ბაგრატიონთა სახლის“ ისტორიკოსი იოსებ ბიჭიკაშვილი).**

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII

წიგნი არგუმენტირებულად, უტყუარი დოკუმენტების მოშველიებით აბათილებს ესპანეთში მცხოვრებ ბაგრატიონ-მუხრანელების თავადური განშტოების ქართლის სამეფო შტოდ ხელოვნურად, უსაფუძვლოდ წარმოჩენის მცდელობას, რაც საერთაშორისო სამართლით სხვისი სამეფო უფლებების უზურპაციად განიხილება, რადგან საქართველოს სამეფო შტოს სამართალმემკვიდრედ დღეს მხოლოდ ბაგრატიონ-გრუზინსკების სამეფო ოჯახია (SIC!) ქართლის სამეფო სახლმა 1762 წელს, ქართლ-კახეთის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შემდეგ, შეწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა და დაუბრუნდა ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII-ის მემკვიდრეებს).

2016 წელსვე დაიბეჭდა **ისტორიკოს იოსებ ბიჭიკაშვილის ვრცელი ილუსტრირებული ნაშრომი „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“.**

მკვლევარებმა საბოლოოდ დაადგინეს, საერთაშორისო სამართლის მოთხოვნის თანახმად, თუ რომელს ეკუთვნოდა უპირატესობა ბაგრატიონის სამ (ქართლის, კახეთის, იმერეთის) შტოს შორის. დასკვნა ერთადერთია: **ერთიანი საქართველო რომ არ დაშლილიყო, მის მართვას გააგრძელებდნენ ერთიანი საქართველოს ბოლო მეფის გიორგი VIII-ის მემკვიდრეები!**

მემკვიდრეობის ეს ხაზი კი ასეთია: **გიორგი VIII (კახეთის მეფე გიორგი I), ალექსანდრე I, გიორგი II, ლევან I, ალექსანდრე II, დავით I, თეიმურაზ I, დათუნა ბატონიშვილი, ერეკლე I, თეიმურაზ II, ერეკლე II, გიორგი XII, უფლისწული ბაგრატ გიორგის ძე, ბატონიშვილი ალექ-**

სანდრე ბაგრატის ძე ბატონიშვილი, პეტრე ალექსანდრეს ძე, ბატონიშვილი პეტრე პეტრეს ძე (ცნობილი პოეტი), ბატონიშვილი ნუგზარ პეტრეს ძე (დაიბადა 1950 წელს), ბატონიშვილი ანა ნუგზარის ასული (დაიბადა 1976 წ.).

ანუ დღეს თბილისში მცხოვრები ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი უტყუარად არის გიორგი VIII-სა და გიორგი XII-ის უწყვეტი, პირდაპირი მემკვიდრეობითი ხაზის გამგრძელებელი.

ბატონიშვილი ნუგზარი საქართველოს სამეფო სახლის მეთაურად და სამეფო ტახტის მემკვიდრედ 2006 წლის მემორანდუმით აღიარეს „ბაგრატოვანთა სახლმა“ (წინამძღოლი ნინო ბაგრატიონ-იმერეტინსკი) და გამოჩენილ ისტორიკოსთა ჯგუფმა (აკადემიკოსები მარიამ ლორთქიფანიძე, დავით მუსხელიშვილი და სხვ.). მემორანდუმს შეუერთდა ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოს 59 წარმომადგენელი, 2014 წელს — აზნაურული შტოს 67 წარმომადგენელი.

ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის სამეფო სახლს მხარდამჭერებისა და გულწრფელი პატივისმცემლების გარდა, მოწინააღმდეგე და ჩასაფრებულიც ბევრი ჰყავს. განსაკუთრებით ის აქვთ ამოჩემებული, ნუგზარს მხოლოდ ქალიშვილები (ანა და მაია) ჰყავს და ამ შტოს, თუნდაც ლეგიტიმურს, შეწყვეტა ემუქრებაო.

წიგნი „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“ გვაკვალიანებს, რომ ბაგრატიონთა დინასტიური სამართლის ტრადიციული წესი ბიზანტიურ-სპარსულის ანალოგიური იყო, რომლის თანახმადაც სამეფო ტახტზე ასვლა შეეძლო არა მარტო უფროს ვაჟს, არამედ უმცროსსაც და თუ სამეფო სახლში ვაჟი არ იყო, მაშინ ქალსაც (რის მაგალითებსაც ვხვდებით XII-XIII საუკუნეებში: თამარ მეფე, მეფე რუსუდანი), მაგრამ არავითარ შემთხვევაში — საგვარეულოს გვერდითი, არასამეფო შტოს წარმომადგენელს.

ბაგრატიონთა დინასტიური სამართლის სპეციფიკური წესით, რომელიც მხოლოდ სამეფო ოჯახზე ვრცელდება, როცა ტახტის მემკვიდრე ქალია, იგი არა მარტო მეფობის უფლებას იღებს, არამედ გვარსაც აგრძელებს, როგორც ეს თამარისა და რუსუდანის დროს მოხდა (ნიშანდობლივია, რომ მატიანეში გიორგი IV ლაშა თამარის ძედ, ხოლო დავით ნარინი რუსუდანის ძედ იხსენიებიან).

ტახტის მემკვიდრე ქალის გათხოვებისას მოქმედებდა საუკუნეების მანძილზე დაცული დინასტიური სამართლის წესი —„საქორწინო სამართალი ზედსიძეობის შესახებ“: შვილები ლეგიტიმურად აგრძელებდნენ დედის სამეფო გვარს და სამეფო ხაზს. მეუღლეები კი, თანამოსაყდრე-კონსორტები არიან.

არსად, ქართლის სამართლის ისტორიულ წყაროებში (გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებაში“, ბექა-აღბუღას „კანონებში“, ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში ან „სჯულში“, ერეკლე II-სა და გიორგი XIII-ის „მსაჯულთ შეკრებულებაში“ არ მოიძებნება ტახტზე ქალის ასვლის გამომრიცხავი კანონი!

ქართულ დინასტიურ სამართალზე დაყრდნობით, სამეფო სახლის მეთაურმა ბატონიშვილმა ნუგზარმა 2009 წელს გამოსცა დეკრეტი, რითაც **საქართველოს სამეფო ტახტზე მომავალ მემკვიდრედ უფროსი ქალიშვილი — ბატონიშვილი ანა გამოაცხადა.**

რაც შეეხება ტახტის მემკვიდრეობის რიგს, ბატონიშვილ ანას შემდეგ, ქართული დინასტიური სამართლის თანახმად, დედის ხაზით სამეფო ტახტის მემკვიდრედ დაბადებიდანვე შეიძლებოდა გამოცხადებულიყო ანას ვაჟი. იგი მემკვიდრეობის საკითხში გაუსწრებდა უფროს დებს ირინესა (დ. 2003 წ.) და მარიამს (დ. 2006 წ.) ანას პირველი ქორწინებიდან, ოღონდ აქ ერთი პირობა იყო: ქართული დინასტიური წესის („ზედსიძეობის“) აღსასრულებლად სამეფო ოჯახის სიძეს ქართული დინასტიური სამართლისადმი პატივისცემა უნდა გამოეხატა და თანხმობა გამოეცხადებინა.

სამწუხაროდ...

პირველ მეუღლესთან, არქიტექტორ გრიგოლ მალანიასთან ანას განქორწინებიდან ორი წლის შემდეგ საქართველოს საპატრიარქომ სასიძოს მისაღებ კანდიდატად მიიჩნია ესპანეთიდან საქართველოში გადმოსახლებული მუხრანელ ბაგრატიონთა თავადური შტოს წარმომადგენელი დავით გიორგის ძე ბაგრატიონი, ირაკლი გიორგის ძის შვილიშვილი.

კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ჩანაფიქრით, ბაგრატიონთა ამ ორი შტოს დაქორწინებაგაერთიანება დაასრულებდა ორ ოჯახს შორის არსებულ დავას, რაც გამოწვეული იყო ემიგრაციაში (ესპანეთში) მყოფი თავადიშვილების — გიორგისა და მისი ქალ-ვაჟის ლეონიდა და ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელების მიერ XX ს. 40-იან წლებში საქართველოს სამეფო ტახტის ჭეშმარიტი მემკვიდრეების ბაგრატიონ-გრუზინსკების სამეფო უფლებების მითვისებით.

ძორწილი 2009 წლის 8 თებერვალს შედგა, ოღონდ ამ დროისთვის ვერ მოესწრო საქორწინო ხელშეკრულების მომზადება, რასაც უარყოფითი შედეგი მოჰყვა. ამ დოკუმენტში უნდა აღნუსხულიყო ბატონიშვილ ანას უპირატესი დინასტიური უფლებები მისი მომავალი მეუღლის მიმართ: სიძე თავადი დავითი გახდებოდა თანამოსაყდრე (მეუღლე-კონსორტი), მომავალი ტახტის მემკვიდრის მამა და ოჯახის უფროსი და არა სამეფო სახლის ან დინასტიის მეთაური, რაც დინასტიური კანონმდებლობით ბაგრატიონ-გრუზინსკების სამეფო ოჯახის უფლებაა და ეს უფლება შემდგომ დედის მეშვეობით მემკვიდრეობით გადავიდოდა მის ძეზე, რომელიც დაბადებისთანავე მიიღებდა დედის სამეფო გვარს და ტახტის მემკვიდრეობის უფლებას.

ბატონიშვილი ანა და მისი ვაჟი გიორგი.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო — დავითმა ისარგებლა, რომ ხელშეკრულება დადებული არ იყო და მოულოდნელად „კბილები გამოაჩინა“: მეუღლეს განუცხადა, თავად ვარ ტახტის მემკვიდრე და სამეფო სახლის მეთაურიო.

2011 წ. 27 სექტემბერს დაიბადა ბატონიშვილი გიორგი. ბავშვის მამა დღემდე უარს ამბობს მეუღლის თანამოსაყდრეობაზე, ანუ მეუღლე-კონსორტობაზე და პირიქით, მასთან დაქორწინების საბაბით უსაფუძვლოდ მოითხოვს სამეფო სახლის მეთაურად და ტახტის მემკვიდრედ მის აღიარებას. ამ ქმედებით ვაჟსაც უფერხებს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლების დღესვე მიღებას.

მუხრანბატონები არასოდეს სამეფო შტო არ ყოფილა. იოანე ბატონიშვილის სიტყვებით, იყვნენ „მეორისა ხარისხით ბაგრატიონად წოდებულნი და პირველნი თავადნი“. ისინი როგორც ვასალები, ისე ემსახურებოდნენ სამეფო ტახტს.

მაგრამ ისტორიაში მაინც იყო პრეცედენტი. 1658-1675 წლებში ქართლში მეფობდა ვახტანგ V შაჰნავაზი, მარაბდის ომში დაღუპული თეიმურაზ მუხრანბატონის ძე. მუხრანელთა სათავადოს მეთაური როსტომ მეფემ იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. ვახტანგი ასე გამეფდა, მუხრანბატონთა სათავადოს მეთაურობა კი მისმა ძმამ კონსტანტინემ გააგრძელა და დღემდე არსებობს ბაგრატიონ-მუხრანელთა თავადური შტოს სახით, რომლის მემკვიდრეც არის დავითი. ვახტანგ V-ით გაგრძელდა ქართლის ბაგრატიონთა სამეფო ხაზი, ანუ ნაშვილებმა მშვილებლის გვარ-ჯიში გააგრძელა, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე შვილად აყვანის დროს. თორემ როსტომ მეფე თავიდან თავისი გერის ოტიას, სვიმონ გურიელის ძის გამოცხადებას აპირებდა ტახტის მემკვიდრედ. ოტია მოულოდნელად რომ არ გარდაცვლილიყო, გურიელთა შტო ავიდოდა ქართლის ტახტზე?

ქართლის ბაგრატიონთა სამეფო შტო კი არ ჩანაცვლებულა მუხრანბატონთა უმცროსი შტოთი, არამედ ერთი მუხრანბატონი გახდა როსტომ მეფის ხაზის გამგრძელებელი და მისი გვარით და ღირსებით იმეფეს მანაც და მისმა შვილებმაც, სანამ 1762 წელს ქართლის სამეფო ტახტი არ გაუქმდა კახეთთან შეერთების გამო.

იბადება ეჭვი, რომ დავით მუხრანელის გარემოცვა დაკავშირებულია მისი ბაბუის დის ლეონიდა ბაგრატიონ-მუხრანელის შვილთან, დიდ მთავარ მარია ვლადიმერის ასულ რომანოვასთან, რომელსაც ჰაერივით სჭირდება მსოფლიოს წინაშე თავადი მუხრანელების სამეფო შტოდ წარმოჩენა.

მარია რომანოვასთვის ლეგიტიმურობის მოსაპოვებლად ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია მისი დედის არამეფური წარმომავლობა. სწორედ ამ მიზეზის გამო რომანოვთა სხვა საიმპერატორო ოჯახები, რუსეთის დინასტიური სამართლის თანახმად, ქალბატონ მარიას მორგანატული ქორწინებით შობილად მიიჩნევენ და საიმპერატორო ტახტთან მიმართებაში მის პრეტენზიებს დღემდე არ სცნობენ.

ამა წლის მარტში დავით მუხრანბატონმა თავგანწირული ცდა გააკეთა: ლონდონს ეწვია და დიდი ბრიტანეთის დედოფალს ელისაბედ II-ეს დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით საჩუქარი „საქართველოს არწივის ოქროს ყელსაბამი“ და ჯილდო „უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს უკერველი კვართის სამეფო ორდენი“ გაუგზავნა. კენინგსტონის სასახლეში მას უმასპინძლეს მისმა სამეფო უმაღლესობამ გლოსტერის ჰერცოგმა და მისმა მეუღლემ, მათვე დედოფლის სახელით მიიღეს საჩუქარი.

და სკანდალიც ატყდა, რომლის ექოც დღემდე ხმიანობს ნისლიან ალბიონში.

ინგლისი, მოგეხსენებათ, ტრადიციების ქვეყანაა, იქაურს პურს ნუ აჭმევ, ოღონდ სამასი წლის წინათ დაკანონებულს ნუ დაარღვევინებ. ცნობილმა ისტორიკოსმა უგო ვაკერსმა გაზეთ „დეილი მეილში“ დაუპატიჟებელი სტუმრის ქმედება ექსტრაორდინარულად და ტრადიციის დარღვევად მიიჩნია, რადგან საჩუქარი გაკეთდა კერძო პირის — „საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე“ დავითის სახელით, მაშინ, როცა დედოფალი ტრადიციისამებრ, ჯილდოებსა და საჩუქრებს იღებს უცხო ქვეყნების მმართველთაგან, მეფეებისა თუ პირველი პირებისაგან და ეს ყოველთვის დაკავშირებულია ოფიციალურ ვიზიტებთან, თანაც დედოფალი მხოლოდ თვითონ იღებს ამ საჩუქრებს. ვიკერსი ასევე აღნიშნავს, რომ კერძო პირისგან საჩუქრის მიღება მეფობის პრეტენდენტთა მოზღვავებას გამოიწვევს, რომლებიც ამას თავისი თავის გამოჩენისთვის უფრო იქმენ, ვიდრე დედოფლისთვისო და დაასკვნის: თუ სერიოზული საფუძვლები არ არსებობს, რომ დედოფალმა აუცილებლად მიიღოს ეს საჩუქარი, მან უარი უნდა განაცხადოს ამ სამარცხვინო ჯილდოზეო.

საქართველოს სამეფო სახლის მეთაური ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი და მისი მეუღლე ლეილა ყიფიანი

აქვე „დეილი მეილი“ მკითხველს აცნობს თვით დავით ბაგრატიონს, რომელმაც შლეგური ნაბიჯით ამხელა ხმაური გამოიწვია. მის დასახასიათებლად სტატიის ავტორები იყენებენ სიტყვათა თამაშს: The crown Prince-ის (ტახტის მემკვიდრე, უფლისწული) ნაცვლად The clown Prince-ს (კლოუნი პრინცი). იქვე მოხსენიებულია დავითის გახმაურებული რომანი „პლეიბოის“ ვარსკვლავსა და ეროტიკული შოუს წამყვან შორენა ბეგაშვილთან (ნათქვამია, ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო). ასევე მოგვითხრობენ „სამეფო ტახტზე“ დავითის პრეტენზიებსა და დავებზე ნუგზარ ბაგრატიონთან. ხაზს უსვამენ, რომ შესაძლოა, პრობლემა იმაშიც იყოს, რომ საქართველოს სამეფო სახლის მეთაური რეალურად არა დავითი, არამედ ნუგზარია... და მოჰყავთ ნუგზარის სიტყვები: „დავითის წინაპრები მსახურები იყვნენ და არა მეფენი“.

მაგრამ „კლოუნი პრინცის“ მაღვალაკობას კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ არა „დეილი მეილს“ ერთი პასაჟი, რომელიც ფეხქვეშ ნიადაგს გაცლის: **„ბუკინგემის სასახლემ აღნიშნა, რომ ორდენი მიღებულ იქნა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსულტაციების შემდეგ, ნორმალური პროცესის შესაბამისად და მხარდაჭერილია საქართველოს მთავრობის მიერ“.**

როგორ გავიგოთ ეს, პატივცემულო საქართველოს მთავრობავ? რას უჭერთ მხარს, აბსურდული, არარსებული „მე-13 საუკუნის საქართველოს სამეფო ორდენით“ ინგლისის დედოფლის გაცუცურაკებას „კლოუნი პრინცის“ მიერ?!

თუ „მხარდაჭერა“ „საქართველოს სამეფო სახლის მეთაურისა და ორდენის კომანდორის“ მიერ ბუკინგემის სასახლის დაბრმავების შედეგი არ არის, მაშინ **საქართველოს მთავრობამ ჩვენს მოსახლეობას უნდა განუმარტოს, როგორ და რატომ დაუჭირა მხარი ამ ავანტიურას და ბოდიში მოუხადოს დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას!**

და მაინც, წინააღმდეგობათა მიუხედავად, საქართველოს ბაგრატიონ-გრუზინსკების სამეფო სახლი ცოცხლობს და წარმატებით აგრძელებს მოვალეობას, მუხრანისებურად ვიტყოდი:

და დღეს — დავითის ნაქონი სისხლი,
და დღეს — თამარის ნაქონი სისხლი,
და დღეს — ერეკლეს ნაქონი სისხლი,
საბედნიეროდ ისევ ხმაურობს!

ალეკო ასლანიშვილი

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

რა არის მნიშვნელოვანი XX საუკუნის შუა პერიოდის ომისთვის? ნავთობი – ის ომი მოტორების ომი იყო. ვეიმარის გერმანია ნავთობპროდუქტებს სსრ კავშირიდან ღებულობდა. მაგრამ ომის დაწყებიდან ეს მოწოდებები ხომ შეწყდება. საჭიროა ნახშირწყალბადის სხვა წყაროები. რუმინული საბადოები, რომლებიც შემდგომ დაიწყებენ გერმანული ტექნიკის მომარაგებას, იმ დროს ჰიტლერისთვის ისევე შორი იქნება, როგორც ბაქოს და გროზნოს ნავთობი. ამიტომ გერმანია „უცებ“ იწყებს ნავთობპროდუქტების მიღებას ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დიდ ბრიტანეთიდან: „ომის წინ მესამე რაიხის გასამართი პუნქტების დაახლოებით ერთი მესამედი გერმანია-ამერიკის სანავთობო კომპანიას ეკუთვნოდა... გერმანიის საზოგადოება „გაზოლინის“ სახსრების მეოთხედი „სტანდარდ ოილს“ ეკუთვნოდა, დანარჩენი ნაწილი –„იგ ფარბენინდუსტრის“ და ინგლისურ ტრესტ „როიალ-დატჩ შელს“.

1933 წლის აპრილში, აგრეთვე 1934 წლის 10 აგვისტოსა და 1 ნოემბერს ხელი მოეწერა ახალ ინგლისურ-გერმანულ შეთანხმებებს – ქვანახშირზე, ვალუტაზე, ვაჭრობასა და საგადასახდელოზე. ამ უკანასკნელის თანახმად, ყოველ 55 გირვანქა სტერლინგზე, რაც გერმანიამ დახარჯა ბრიტანული საქონლის შესყიდვაზე, ინგლისი ვალდებულებასკისრულობდა, ეყიდა 100 გირვანქა სტერლინგის ღირებულების გერმანული პროდუქცია. ეს სხვა არაფერია, თუ არა დაკვეთის უზრუნველყოფა გერმანიის აღორძინებადი მრეწველობისათვის. კიდევ რა არის საჭირო ომისათვის, გარდა ნავთობისა და მოქმედი ქარხნებისთვის? ფული. უიმისოდ ბრძოლა შეუძლებელია. და აი, სწორედ ჰიტლერის მოსვლისთვის დაიწყო დიდმა ბრიტანეთმა გერმანიის ეკონომიკაში ფულის გადაქაჩვა.

სტალინი ყველაფერ ამას ხედავდა და არ შეეძლო, რეაგირება არ მოეხდინა. როდესაც თვალყურს ადევნებდა ნაცისტების განუხრელ წინსვლას სსრ კავშირის საზღვრებისკენ, ის ცდილობდა, თავიდან აეცილებინა ომი. მოუწოდებდა ინგლისსა და საფრანგეთს, შეაჩერონ აგრესორი „ჩანასახში“. შეხედეთ რუკას. ჰიტლერის მთელი შენაძენები (ჩეხოსლოვაკია, ავსტრია) – ეს ყოველივე არის მხოლოდ მოძრაობა აღმოსავლეთისკენ. სხვათა შორის, იაპონიის წინსვლა, რომელიც 1930 წლის დასაწყისში შეიჭრა ჩინეთში, ასევე ხდებოდა ჩვენი ტერიტორიის მიმართულებით. დასავლეთის იდეა იყო კლასიკური „მარწუხები“ – ერთდროული დარტყმა რუსეთზე ორი მხრიდან. გერმანიისა ევროპიდან, იაპონიისა კი აზიიდან.

მიუნხენის შეთანხმება. 1938 წელი

სტალინური პოლიტიკის ბრწყინვალე მაგალითად შეიძლება იქცეს სიტუაცია ჩეხოსლოვაკიასთან დაკავშირებით. 1938 წლის 29-30 სექტემბერს ბავარიის დედაქალაქში გერმანიამ, საფრანგეთმა, იტალიამ და დიდმა ბრიტანეთმა ხელი მოაწერეს მიუნხენის შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის თითქმის ნახევარი ეძლეოდა ჰიტლერს. რა არის დამახასიათებელი – თავად ჩეხები მოლაპარაკებაზე არავის დაუძახია, გადაწყვეტილება მათ აცნობეს პოსტფაქტუმ. ჩეხოსლოვაკის გაყოფის მიზეზია – გერმანული დასახლება სუდეტი, რომელიც რაიხთან მიერთებას ითხოვდა. ამ დროს უნდა აღინიშნოს, რომ ჩეხოსლოვაკიის არმია, პრაქტიკულად, არ ჩამოუვარდებოდა გერმანიის შეიარაღებულ ძალებს, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს მასთან ჰქონდათ დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც ავალდებულებდა მათ, სამხედრო დახმარება გაეწიათ პრაღისათვის. ამას გარდა ჩეხოსლოვაკიას ჰქონდა დიდებული გამაგრებული ხაზი. „სასწავლო სროლებზე სპეციალისტები გაოცებული აღნიშნავდნენ,რომ ჩვენს იარაღს, რის გამოყენებასაც ვაპირებდით ამ სიმაგრეების წინააღმდეგ, არ ექნებოდა მოსალოდნელი მოქმედება“, – დიპლომატიურად ჩაწერს თავის მემუარებში მესამე რაიხის შეიარაღების მინისტრი ალბერტ შპეერი. ჰიტლერი ვერაფრით ვერ გარისკავდა, ებრძოლა ჩეხებთან, თუ დასავლეთი გამოიჩენდა სიმტკიცეს მათს დასაცავად, მაგრამ ამის ნაცვლად დასავლეთის დიპლომატებმა ზემოქმედება მოახდინეს... ჩეხებზე. პირდაპირ აიძულეს ისინი, მიეცათ ჰიტლერისთვის სუდეტი.

სსრ კავშირსაც ჰქონდა სამოკავშირეო ხელშეკრულება ჩეხოსლოვაკიასთან და როდესაც ემზადებოდა, შეესრულებინა თავისი ვალდებულებანი, სტალინმა ჯარები საზღვრებთან დააყენა. მოსკოვი მზად იყო, ებრძოლა ჰიტლერთან ჩეხოსლოვაკიისათვის, ვინაიდან შესანიშნავად ესმოდა, საბოლოოდ საით წარმართავენ გერმანულ აგრესიას. მაგრამ აწი არავინ, თავად ჩეხების ჩათვლიაც, არ აპირებდა დაეცვათ ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. რის შემდეგაც სტალინისთვის ცხადი გახდა, რომ ერთადერთი პარტნორი მოლაპარაკებისათვის სსრ კავშირისთვის შეიძლება იყოს... გერმანია. ვინაიდან დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს დაბეჯითებით და მიზანდასახულად მიჰყავთ ჰიტლერი საბჭოთა კავშირთან ომთან, ხოლო დანარჩენ „სახელისუფლო წვრილმანს“ არა აქვს და არც შეიძლებოდა, ჰქონოდა დამოუკიდებელი პოზიცია.

1939 წლის 10 მარტს პარტიის XVIII ყრილობის ტრიბუნიდან სტალინმა პრაქტიკულად პირდაპირ მიმართა გერმანიის მეთაურს. თითქმის პირდაპირი ტექსტით ის ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ რას გეგმავს დასავლეთი. სტალინის სიტყვა – ესაა მოწოდება ჰიტლერისადმი დაფიქრდეს და ნუ იქნება ბრმა იარაღი დიდი ბრიტანეთის ხელში. რახან შეუძლებელია, მოელაპარაკო ქოფაკის პატრონს, სტალინმა გადაწყვიტა მისცეს საკვები თავად ძაღლს. რა საჭიროა, ებრძოლო სსრ კავშირს – ამას დიდი დრო სჭირდება და ეს რთულია – როდესაც შენ უკვე მიიღე შენი პატრონებისგან ყველაფერი, რაც გჭირდება? მათ ხომ სურთ გერმანიისა და რუსეთის ურთიერთ სისხლისგან დაცლის შემდეგ გამოვიდნენ უკანასკნელები და უკარნახონ მსოფლიოს თავისი პირობები. შეიძლება თქვა უარი საკუთარ დაპირებებზე – აი გზავნილი, რასაც ის სთავაზობდა გერმანიის მეთაურს. სტალინის გამოსვლა პარტიის XVIII ყრილობაზე – ეს არის დიპლომატიისა და ორატორული ხელოვნების ჭეშმარიტად შედევრი. მან შეძლო, ჩაერთო ამ სიტყვაში ყველაფერი, რისი ჩართვაც იყო საჭირო. მიემართა ყველასთვის, ვინც საჭირო იყო, – დარბაზში მყოფ დელეგატებისთვისაც, ადოლფ ჰიტლერისთვისაც შორეულ ბერლინში.

1939 წლის 10 მარტი. პარტიის XVIII ყრილობა

ახალი იმპერიალისტური ომის დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ იგი ვერ გახდა ჯერ კიდევ საყოველთაო, მსოფლიო ომი. ომს აწარმოებენ აგრესიული სახელმწიფოები, რომლებიც ყოველმხრივ აყენებენ ზიანს არააგრესიული სახელმწიფოების ინტერესებს, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა, ეს უკანასკნელი კი იხევს უკან, მიდის დათმობებზე აგრესორების სასარგებლოდ. ამრიგად, ჩვენს თვალწინ ხდება მსოფლიოს და გავლენის სფეროების ღია გადაკეთება არააგრესიული ქვეყნების ხარჯზე მოგერიების რაიმე მცდელობის გარეშე და ერთგვარი ნებაზე მიშვებითაც კი ამ უკანასკნელთა ხარჯზე.

დაუჯერებლია, მაგრამ ფაქტია, რით უნდა აიხსნას ახალი იმპერიალისტური ომის ასეთი ცალმხრივი და უცნაური ხასიათი? როგორ შეიძლებოდა, მომხდარიყო, რომ არააგრესიულმა ქვეყნებმა, რომლებსაც ჰქონდათ უზარმაზარი შესაძლებლობანი, ასე ადვილად და საყრდენის გარეშე უარი თქვეს თავიანთ პოზიციებზე და ვალდებულებებზე აგრესორების სასარგებლოდ? ხომ არ აიხსნება ეს **არააგრესიული ქვეყნების სისუსტით? რასაკვირველია, არა. არააგრესიული, დემოკრატიული სახელმწიფოები, ერთად აღებული, რა თქმა უნდა, ფაშისტურ სახელმწიფოებზე უფრო ძლიერები არიან ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისითაც**.

ამ შემთხვევაში რითი ავხსნათ ასეთ სახელმწიფოთა დათმობა აგრესორების წინაშე?

ეს შეიძლებოდა აგვეხსნა, მაგალითად, შიშის გრძნობით რევოლუციის წინაშე, რომელიც შეიძლება გაჩაღდეს, თუ არააგრესიული სახელმწიფოები ჩაერთვებიან ომში და ომი მსოფლიო ხასიათს შეიძენს. ბურჟუაზიულმა პოლიტიკოსებმა, რასაკვირველია, იციან, რომ პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა გამარჯვება მოუტანა ერთ-ერთ ყელაზე დიდ ქვეყანას. მათ ეშინიათ, რომ მეორე მსოფლიო იმპერიალისტურ ომს შეუძლია ასევე მიგვიყვანოს რევოლუციის გამარჯვებამდე ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში.

მაგრამ ეს დღეს არ არის ერთადერთი და მთავარი მიზეზიც. მთავარი მიზეზი არის არააგრესიული ქვეყნების უმრავლესობის და, უპირველეს ყოვლისა, ინგლისისა და საფრანგეთის კოლექტიური უარი აგრესორებისთვის მათი ჩაურევლობის გამო „ნეიტრალიტეტის“ პოზიციაში. ფორმალურად ჩაურევლობის პოლიტიკა შეიძლებოდა დაგვეხასიათებინა ასე: „დაე, თითოეულმა ქვეყანამ დაიცვას თავისი თავი აგრესორებისგან, როგორც უნდა და როგორც შეუძლია, ჩვენი საქმეა – გვერდით დგომა, ჩვენ ვივაჭრებთ აგრესორებთანაც და მათს მსხვერპლთანაც. სინამდვილეში, თუმცა, ჩაურევლობის პოლიტიკა ნიშნავს აგრესიის მიმნებლობას, ომის გაჩაღებას, მაშასადამე, მის გადაქცევას მსოფლიო ომად. ჩაურევლობის პოლიტიკაში არის სურვილი, არ შეუშალონ ხელი აგრესორებს, აკეთონ თავიანთი შავი საქმე, **არ შეუშალონ ხელი, ვთქვათ, იაპონიას, ჩაერთოს ომში ჩინეთთან, და კიდევ უკეთესია საბჭოთა კავშირთან, არ შეუშალონ ხელი, ვთქვათ, გერმანიას ჩაერთოს ევროპულ საქმეებში, აღმოჩნდეს ომში საბჭოთა კავშირთან, მისცეს ომის ყველა მონაწილეს საშუალება გაიხლართოს ღრმად ომში, რომ დასუსტდნენ, გამოვიდნენ სცენაზე ახალი ძალებით, გამოვიდნენ, რასაკვირველია, „მსოფლიოს ინტერესებისთვის“ და უკარნახონ ომის დასუსტებულ მონაწილეებს თავისი პირობები**. იაფიცაა და სასიამოვნოც!

სტალინის გამოსვლის დრო და ადგილი შემთხვევითი როდი იყო – სტალინმა იცის, რომ ჰიტლერი ესესაა ჩაყლაპავს მონაკვეთს ჩეხოსლოვაკიისა, რომელიც უკვე ფაქტობრივად იშლება ჩეხეთად და სლოვაკეთად. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში კი არის იმიერკარპატეთის უკრაინა. სწორედ ამ ფაქტმა, ლონდონის გეგმით, უნდა მიგვიყვანოს ომთან. და სტალინი პირდაპირ ლაპარაკობს, რომ სწორედ გერმანიისა და უკრაინის –„ორი უკრაინის“ არსებობა სურთ, გახადონ საბაბი საბრძოლო შეტაკებებისთვის. ის მოუწოდებს ჰიტლერს დაფიქრდეს და შეჩერდეს.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-100

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მამად ავტალოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მამად ავტალოვი (პ/ნ 36001013051), საგარეჯო, სოფელი ლამბალო.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯოს რაიონი, სოფელი ქეშალო (საკადასტრო კოდი: 55.22.53.120).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 27038.31 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 19 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 5 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP43919717;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 439197
6. **მოვალე:** მამად ავტალოვი (პ/ნ 36001013051), საგარეჯო, სოფელი ლამბალო;
ისმიხან ავდალოვი (პ/ნ 36001010904), საგარეჯო, სოფელი ლამბალო.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP43919717; ლოტის ნომერი: 439197).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 5 ივნისის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ინეზა ლატარიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ინეზა ლატარია (პ/ნ 42001034971), ქ. ფოთი, იმერეთის ქ. 150.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, იმერეთის ქ. 150 (საკადასტრო კოდი: 04.02.10.349).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 24563.38 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 19 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 5 ივნისი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP43919817;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 439198
6. **მოვალე:** ინეზა ლატარია (პ/ნ 42001034971), ქ. ფოთი, იმერეთის ქ. 150;
კოლია თითიმერია (პ/ნ 42001028346), ქ. ფოთი, იმერეთის ქ. 150.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP43919817; ლოტის ნომერი: 439198).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 5 ივნისის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, გუშინ ფრანკოფონ მერთა და ქალაქთა საერთაშორისო ასოციაციის ინოვაციური კომისიის სხდომა გაიხსნა. წლევანდელი კომისიის სხდომის თემა „მდგრადი განვითარება და ინოვაციური ქალაქები“ გახლავთ. ინოვაციურ კომისიას თბილისთან დაძმობილებული ქალაქი ნანტი ხელმძღვანელობს.

სხდომა, რომელზეც ტექნოლოგიურ ინოვაციებში მოქალაქეთა მონაწილეობასა და მათი მიდგომების შეცვლაზე, ასევე მდგრად ურბანულ სამსახურებში ინოვაციების დანერგვაზე ისაუბრეს, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გახსნა. მისი განცხადებით, ღონისძიების უმთავრესი მიზანი, ინოვაციური მიმართულების სფეროში, სხვადასხვა ქალაქების გამოცდილების გაზიარებაა. თბილისში განხორციელებულ ინოვაციურ პროექტზე პრეზენტაცია თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურმა წარადგინა. სამსახურის წარმომადგენლებმა „ქალაქი-ბიბლიოთეკის“ ციფრული პროექტის შესახებ ისაუბრეს. სტუმრები თბილისის ტექნოლოგიური პარკის სიახლეებსაც გაეცნენ. საკუთარ ქალაქებში განხორციელებული ინოვაციური პროექტები ქალაქ ნანტის, პარიზის, ჟენევის, ლიეჟისა და აბიჯანის წარმომადგენლებმაც წარადგინეს. თბილისი ფრანკოფონ მერთა და ქალაქთა საერთაშორისო ასოციაციაში 2001 წლიდან არის გაერთიანებული და ბოლო წლების მანძილზე სისტემატიურად იღებს მონაწილეობას, როგორც ასოციაციის გენერალური ასამბლეების, ასევე ასოციაციის ინოვაციური კომისიის მუშაობაში.

ᲛᲔᲬᲧᲔᲠᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐ ᲗᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ

„ᲗᲣᲨᲔᲗᲨᲘ, ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის 56-ე კილომეტრზე, ზამთრის თვეებში დაახლოებით 300 000 კუბური მეტრი სიდიდის კლდოვანი მასა მოწყდა, რომელმაც, დაახლოებით 10 მეტრის სიმაღლეზე, გზის სავალი ნაწილი დაფარა და მდინარე ალაზნის დინება გადაკეტა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მეწყრული მოვლენები თუშეთში ახლაც მიმდინარეობს.

მდინარე ალაზნის შეგუბების შედეგად წარმოიქმნა 10 მეტრის სიღრმისა და 300 მეტრი სიგრძის ტბა, რომელმაც სტიქიის ადგილამდე მისასვლელი გზა დატბორა. საავტომობილო გზების დეპარტამენტი, აღდგენითი სამუშაოების დაწყების მიზნით, მუდმივად ატარებს სტიქიის ზონის მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგად, ბოლო კვირის განმავლობაში, მცოცავი ქანების გააქტიურება და განმეორებითი – დაახლოებით 200 000 კუბური მეტრი სიდიდის კლდოვანი მასების ჩამოსვლა დაფიქსირდა, რამაც საგრძნობლად დაამძიმა არსებული მდგომარეობა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შექმნილია ოპერატიული შტაბი, უახლოეს დღეებში, ამინდის გაუმჯობესებისთანავე, 20 კაციანი ჯგუფი დაიწყებს მუშაობას სტიქიური მოვლენის ადგილას და წარმოადგენს საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნას. ასევე, მოსახლეობას და თუშეთში გამგზავრების მსურველებს ვაფრთხილებთ, რომ ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის 56-ე კილომეტრამდე გზის საფარი თოვლისაგან თავისუფალია, თუმცა, მიუხედავად ამისა, სტიქიის ზონის სიახლოვეს არის ინტენსიური ქვათა ცვენა და დაუშვებელია როგორც ფეხით, ასევე ავტომანქანით გადაადგილება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

�გᲝᲠᲘᲡ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ, ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ, ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ 2017 წლის 11 მაისს სხდომაზე იხელმძღვანელა რა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-10 მუხლის საფუძველზე, განიხილა ქ. გორისა და გორის, ქ. თელავისა და თელავის, ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის, ქ. ოზურგეთისა და ოზურგეთის, ქ. ახალციხისა და ახალციხის, ქ. ამბროლაურისა და ამბროლაურის, ქ. მცხეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საკითხი. კომისიამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნულ საკითხზე დაიწყოს კონსულტაციები ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან.

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია საკრებულოებსა და მოსახლეობას სთავაზობს თვითმმართველი ქალაქებისა და თვითმმართველი თემების გაერთიანების შედეგად გორის, თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ახალციხის, ამბროლაურის და მცხეთის თვითმმართველი თემების შექმნის შესაძლებლობის განხილვას, ადმინისტრაციული ცენტრებით ქალაქებში.

ამასთან, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია გამოთქვამს მზადყოფნას, ადგილობრივი მოსახლეობისგან და არასამთავრობო სექტორისგან მიიღოს და განიხილოს წინადადებები გორის, თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ახალციხის, ამბროლაურის და მცხეთის მუნიციპალიტეტების შექმნის საკითხებზე, ასევე განიხილოს დაინტერესებული პირების წერილობით მოსაზრებები, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი N12, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

◎ ლეგიონერი

ფაჩულიას ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა



„გოლდენ სტეიტის“ ქართველმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ ტრავმირებულ მარჯვენა ფეხის ქუსლზე გამოკვლევა ჩაიტარა, რამაც სერიოზული დაზიანება არ აჩვენა, აღნიშნულ ინფორმაციას ESPN-ი ავრცელებს. მიუხედავად ამისა, მესამე შეხვედრაში ზაზას თამაში ჯერჯერობით კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

შეგახსენებთ, რომ ფაჩულია „სან ანტონიოსთან“ მეორე შეხვედრაში დაშავდა, რის გამოც პარკეტის დატოვება მოუწია. ტრავმის მიღებამდე ზაზამ 6 წუთში გუნდს 4 ქულა და 2 პასი შესძინა.

მესამე შეხვედრა 21 მაისს თბილისის დროით დილის 5 საათზე დაიწყება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

ტონგას შინ თამაში აეკრძალა

ტონგას ეროვნულ ნაკრებს უელსის საკუთარ მოედანზე მიღების უფლება არ მისცეს და თამაში ნეიტრალურ მოედანზე, ოკლენდში (ახალი ზელანდია) გაიმართება.

კუნძულელებს სურდათ, რომ „დრაკონები“ დედაქალაქში, ნუკუალოფას 10-ათასიან „ტეუფაივაზე“ მიეღოთ და თითქოს თანხმობაც მიიღეს, მაგრამ სტადიონის საერთაშორისი სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა ვერ მოასწრეს.

გადაწყდა, რომ 16 ივნისის თამაში „იდენ პარკზე“ მოეწყობა. აღსანიშნავია, რომ ტონგამ საერთაშორისო მატჩს ბოლოს 2009 წელს უმასპინძლა.

კობა კობახიძე

საფეხბურთო მოზაიკა

რონალდუ: „ჩვენ საუკეთესონი ვართ“

„სელტა“ — „რეალის“ მატჩის (1:4) შემდეგ მადრიდელთა პორტუგალიელმა შემტევმა კრიშტიანუ რონალდუმ ესპანეთის ჩემპიონატის მომდევნო შეხვედრის შესახებ ისაუბრა. პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „რეალი“ გასვლაზე „მალაგას“ დაუპირისპირდება და ამ თამაშში გადაწყდება ლა ლიგის ჩემპიონობის საკითხი.

„დიდებული ბრძოლა გამოვიდა, რომელშიც ჩვენ კარგად ვითამაშეთ. წინ ძალიან რთული მატჩი გველოდება, ბოლო ტურში გასვლაზე „მალაგასთან“. მალაგელები საკუთარ მოედანზე ძალიან კარგად თამაშობენ, თუმცა, ჩვენ მალაგაში მოსაგებად მივდივართ. ვიცით, რომ „მალაგა“ არის ძლიერი ოპონენტი, მაგრამ ჩვენ „სამეფო კლუბი“ ვართ, საუკეთესოები ვართ და ტიტულს მოვიგებთ“ — განაცხადა რონალდუმ.

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „მალაგა“ — „რეალის“ შეხვედრა 21 მაისს თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.

„მანჩესტერის“ ანტირეკორდი

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ მორიგი პირადი ანტირეკორდი დაამყარა. საქმე ისაა, რომ პრემიერლიგის ისტორიაში „წითელმა ეშმაკებმა“ წლეულს ყველაზე ნაკლები მოგება დააგროვეს.

სეზონის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ჟოზე მაურინიოს შეგირდებს 17 მოგება აქვთ, ეს კი კლუბის ისტორიაში ყველაზე ცუდი შედეგია.

აღსანიშნავია, რომ პრემიერლიგაში მანჩესტერელებს აქამდე ყველაზე ცოტა — 19 გამარჯვება 2013-2014 და 2015-2016 წლების სეზონებში ჰქონდათ, 2014-2015-ში კი 20 თამაში მოიგეს.

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერი“ ამჟამად სატურნირო ცხრილში 66 ქულით მე-6 პოზიციაზეა და 6 ქულით ჩამორჩება მე-5 ადგილზე მყოფ „არსენალს“.

გრიზმანი: „მინდა, ლიგა „იუვენტუსმა“ მოიგოს“

მადრიდის „ატლეტიკოს“ ფრანგმა ფორვარდმა ანტუან გრიზმანმა ჩემპიონთა ლიგის მოახლოებულ ფინალზე ისაუბრა და თქვა, რომ სურს ლიგა „იუვენტუსმა“ მოიგოს, ოქროს ბურთი კი — ბუფონმა.

„ფინალში დამარცხება ბევრად მტკივნეულია, ვიდრე ნახევარფინალში. როდესაც ხედავ, რომ მოწინააღმდეგე თასს აღმართავს და ეს შენ დაკარგე, ძალიან რთული მომენტია. ჩვენ ეს ბოლო წლებში მწარედ გამოვცადეთ“ — უთხრა Goal.com-ს გრიზმანმა.

„ატლეტიკო“ თასის გარეშე დარჩა, თუმცა, მან ლა ლიგაში მოპოვებული მე-3 ადგილით ჩემპიონთა ლიგის საგზური გაინაღდა. რაც შეეხება გრიზმანს, მიმდინარე სეზონში 52 მატჩი ჩაატარა და 26 გოლი გაიტანა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

კერბერი გაანადგურეს

მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი, გერმანელი ანგელიკა კერბერი რომის მასტერსის 1/16-ფინალში მოულოდნელად მსოფლიოს 68-ე ნომერთან ანეტ კონტავეიტთან 4:6, 0:6 დამარცხდა. შეხვედრა 57 წუთს გაგრძელდა.

პირველ სეტში კერბერი ბრეიკით 4:3-ს იგებდა, თუმცა, ესტონელმა ზედიზედ სამი და მეორე სეტში ექვსი გეიმი აიღო. კერბერს ბოლო წლებია ასეთი მძიმე მარცხი არ განუცდია, კონტავეიტმა კი მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგანი კარიერაში პირველად დაამარცხა.

ბადრი იაშვილი

◎ ინტერნეტიდან

იტალიელი ქალები ფეხბურთის ეტრფიან

ცნობილი და ეჭვმიუტანელი ფაქტია ის, რომ ევროპაში ფეხბურთი ქალებს მამაკაცებზე არანაკლებად უყვართ და ევროპის სტადიონებზე ისეთ მშვენიერ მანდილოსნებს დაინახავ ადამიანი, ფეხბურთს იმაზე უფრო მეტად შეიყვარებ, ვიდრე თავის დროზე წარმოგედგინა.

როგორც უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, ევროპის ქვეყნებიდან სტადიონებზე პროცენტული გათვლით ყველაზე მეტი ქალი იტალიაში დადის და ეს უმეტესად დიდ მეგაპოლისებზე მეტად პატარა იტალიურ ქალაქებში ხდება. პრინციპში სწორედ ასეთ ქალაქებში იშვა ფეხბურთის სიყვარულიც.

ქალთა სტადიონზე დასწრების მხრივ კი ჩემპიონი იტალიის საფეხბურთო კლუბი „ჯენოა“ ყოფილა, სადაც მაყურებელთა დაახლოებით 42%-ს ქალები შეადგენენ, რაც, ვფიქრობთ, რომ მართლაც შთამბეჭდავი რიცხვია. რიცხვი რიცხვად და ამის უკან იმალება ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი!

როსტომ რაჭველიშვილი

გამოსათხოვარი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობა, აკადემიკოსები გიორგი კვესიტაძე, როინ მეტრეველი, თემურ ნანეიშვილი, ირაკლი ჟორდანია სამძიმარს უცხადებენ ცნობილ პუბლიცისტსა და მწერალს გურამ გოგიაშვილს შვილის

თამარ გოგიაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ს/ა „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ ღრმა მწუხარებით უსამძიმრებს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალისტსა და მწერალს, ბატონ გურამ გოგიაშვილს შვილის

თამარის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იორელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა დიდი ქართველის, უკეთილშობილესი პიროვნების, ბატონი გურამ გოგიაშვილის ქალიშვილი, ქალბატონი

თამარ გოგიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ გურამსა და გარდაცვლილის ოჯახს.

მანანა და დემურ მიქაძეები ღრმა გულისტკივილით უცხადებენ სამძიმარს ბატონ გურამ გოგიაშვილს ქალიშვილის

თამარის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

რევაზ, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახებით დიდი გულისტკივილით სამძიმარს უცხადებენ ბატონ გურამ გოგიაშვილს ქალიშვილის

თამარის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და მის ახლობლებს.

ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, ელიზბარ ლომინაძე, ოთარ ჭითანავა, გურამ გუნავა, თენგიზ კალანდაძე მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ მეგობარს გურამ გოგიაშვილს შვილის

თამარ გოგიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ფოთოლა და თენგიზ კალანდაძეები ოჯახით დიდი მწუხარებით თანაუგრძნობენ ბატონ გურამ გოგიაშვილს ქალიშვილის

თამარ გოგიაშვილის

გარდაცვალების გამო.

გიორგი ნაჭყებია ოჯახით უთანაგრძნობს უახლოეს მეგობარს გურამ გოგიაშვილს შვილის

თამარ გოგიაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ლამარა ჯალალანია, ნანა (ნანული) გუნია, დარეჯან ელიაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ უდიდეს მწუხარებაში მყოფ ბატონ გურამ გოგიაშვილს შვილის

თამარ გოგიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ვან ბაიბურთი, ისლამ ალიევი, ვადიმ ანასტასიადი თანაუგრძნობენ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელ რედაქტორს, ცნობილ ჟურნალისტსა და მწერალს, კოლეგასა და მეგობარს გურამ გოგიაშვილს ქალიშვილის

თამარ გოგიაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

პროფ. არჩილ ხომასურიძე და რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაგრძნობას უცხადებენ ბრწყინვალე ადამიანსა და პუბლიცისტს, ბ-ნ გურამ გოგიაშვილს ქალიშვილის

თამარ გოგიაშვილის

ტრაგიკული გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი და საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრი, ენერგეტიკისა და ომის ვეტერანი

მამანტი ქვარცხავა

და ვუსამძიმრებთ ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3.
293-13-34;
599 797679

ხსოვნა

მშვიდობით, ჩვენო დიდო მეგობარო!



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი კიდევ ერთ დიდ ადამიანს, დიდ მეცნიერს, დიდ პედაგოგს, დიდ მოქალაქეს, პროფესორ **ზურაბ ეზუგბაიას** ემშვიდობება.

ზურაბ ეზუგბაიამ 1966 წელს დაიწყო შრომითი საქმიანობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიისა და საშენი მასალების კათედრაზე და გაიარა ყველა საფეხური ლაბორანტობიდან დეპარტამენტის უფროსობამდე.

ტექნიკურ უნივერსიტეტში 51-წლიანი მუშაობის განმავლობაში კითხულობდა რა სალექციო კურსებს სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიასა და საშენი მასალების დისციპლინებში, ბატონმა ზურაბმა ასეულობით სტუდენტი აზიარა ცოდნას. მისი ლექციები გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმითა და სტუდენტების მიმართ თბილი, მზრუნველი, მამა-შვილური დამოკიდებულებით; მისი ხელმძღვანელობით დაცულია 100-ზე მეტი სამაგისტრო ნაშრომი.

ზურაბ ეზუგბაია პედაგოგიურ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო მოღვაწეობას. იგი არის 140-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორისაა 24 სახელმძღვანელო ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის, რომლებიც შესრულებულია მაღალი პროფესიონალიზმით.

ცალკეა აღსანიშნავი ზურაბ ეზუგბაიას საქმიანობა საქართველოში პროფესიული განათლების სფეროში. იგი ავტორია სამშენებლო პროფესიის 20-მდე სასწავლო პროგრამისა და სახელმძღვანელოსი. საქართველოს სხვადასხვა ქალაქში წაკითხული აქვს პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ლექციების კურსი.

ზურაბ ეზუგბაიას პრაქტიკულ საქმიანობაში აღსანიშნავია ისიც, რომ იგი წლების მანძილზე იყო საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს განათლების სამინისტროს მოდულური სისტემის სწავლების სასწავლო ელემენტებისა და პროფესიულ-საკვალიფიკაციო სტანდარტების შემდგენი; მშენებარე ობიექტების ტექნიკური ზედამხედველი; კავკასიის ეკონომიკური კვლევითი ინსტიტუტის ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოსთან OSGF“, მშენებლობის სამინისტროს გაეროს განვითარების პროგრამის UNDP და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ერთობლივი პროგრამის, ეროვნული სააგენტოს USAID-ის ამერიკელი ხალხისგან მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროექტების ექსპერტი, მონაწილეობდა სახელმწიფო პროგრამაში: “პროფესიული განათლება სასჯელაღსრულებით სისტემაში“.

ზურაბ ეზუგბაია იყო კარგი მეოჯახე — 2 შვილის მზრუნველი მამა და 6 შვილიშვილის თბილი, მოსიყვარულე ბაბუა.

2017 წლის 17 მაისი დიდი ტკივილის დღედ დარჩება მისი მეგობრების, ახლობლების, ოჯახის წევრთა მეხსიერებაში. ძნელია, იხსენებდე ზურაბ ეზუგბაიას უკვე წარსულში.

წავიდა ჩვენგან თავის საქმეზე, თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული დიდი ადამიანი და დაგვიტოვა დიდი ტკივილი.

განეშორა წუთისოფელს და დარჩა ბევრი განუხორციელებელი და აუსრულებელი ოცნება.

დღეს დიდი სინანულითა და ღრმა განცდებით იხსენებენ მას ახალგაზრდები, რომლებიც უკვე აღარ შეაღებენ მისი ლექციების მოსასმენად აუდიტორიის კარს. ძალიან მოგვაკლდება მისი ცოდნა, გამოცდილება, იმედის მომცემი სიტყვა, ღიმილი, ლამაზი იუმორი.

მშვიდობით ჩვენო დიდო მეგობარო.

მსუბუქი იყოს თბილისის მიწა შენთვის.

როგორ გვყვარებიხარ, როგორ მოგვენატრები!

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
სამშენებლო ფაკულტეტი,
სამოქალაქო და სამრეწველო
მშენებლობის ტექნოლოგიებისა და
საშენი მასალების დეპარტამენტი.**

ვმასპინძლობთ საკუთარ მრავნულ სამოსელს...

მართალია, გუშინ, 18 მაისს, მსოფლიო მუზეუმების დღე აღინიშნა, მაგრამ ამავე დღეს უკვე მეორედ დედაქალაქში ქართული ეროვნული სამოსელის დღესასწაული მოეწყო.

— შარშან ქართული ეროვნული სამოსელის დღე რამდენადმე მორიდებულად აღვნიშნეთ და მას, ძირითად, აბანოთუბანმა უმასპინძლა, — გვითხრა ექსკლუზიურ ინტერვიუში პროექტის კოორდინატორმა დავით გვასალიამ. — წლეულს კი დღესასწაულის არეალი საგრძნობლად გაფართოვდა — რიყეზე ევროპის მოედნიდან ხალხური სამოსის ნიმუშების ხილვა მეტეხის ხიდიდან მოყოლებული სიყვარულის შუშის ხიდის ტერიტორიამდე, ასევე აბანოთუბანში იყო შესაძლებელი, მოეწყო საზეიმო მსვლელობა.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული სამოსელის დღესასწაულს მარტო დედაქალაქში არ აღვნიშნავთ, საზეიმო ღონისძიებები ასევე მოეწყო თელავში, ქუთაისში, გურჯაანში, ხაშურში, გორში — მთლიანად ქვეყნის ორ ათეულზე მეტ დიდ ქალაქში. მასში ხალხური სამოსელის შექმნის ოსტატების გარდა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ასევე საესტრადო და საცეკვაო კოლექტივებმა, ცალკეულმა შემსრულებლებმა, კერამიკის, ხეზე კვეთის ოსტატებმა, მხატვრებმა.

ბუნებრივია, რომ დღესასწაულის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო ხევსურული, თუშური, მთიულური, გურული, მეგრული, იმერული, რაჭული სამოსი. დიდი ინტერესი გამოიწვია ქართული საბრძოლო ხელოვნების ხრიდოლის ოსტატ ჭაბუკთა — შავჩოხოსანთა, საჯარისო შენაერთის „დელტას“ მებრძოლთა, ასევე ხელოვნების პატარა ოსტატთა საჩვენებელმა გამოსვლებმა.

სასიხარულოა, რომ ქართული ეროვნული სამოსელის დღესასწაულის საზღვრები ამთავითვე იწყებს გაფართოებას — მოეწყო სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, უკრაინის, საფრანგეთის, იტალიის, რუსეთის, ესპანეთის პროვინციების ეროვნული ტანსაცმლის ჩვენებები და ეს დღე ამ ქვეყნების მრავალ ქალაქშიც აღინიშნა.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ტრენინგები გიდებისთვის მთიანი აჭარის მიმართულებით

მთიანი აჭარის ტურისტულ მარშრუტებზე გიდების გადამზადება აქტიურ ფაზაშია. აჭარის ტურისტული პროდუქტების სააგენტოში ტრენინგებს 60 დამწყები და მოქმედი გიდი ეტაპობრივად, მთიანი აჭარის 4 ტურისტული მარშრუტის მიმართულებით გადის.

ამჟამად, თეორიული და პრაქტიკული კურსი ქედისა და მაჭახელას ტურისტულ მარშრუტებზე გადამზადების მსურველებს უტარდებათ. კურსი აჭარის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ექსკურსიათმცოდნეობისა და ჯგუფის ფსიქოლოგიის თეორიულ სწავლებას, ასევე, ტურისტულ მარშრუტებზე პრაქტიკულ საველე გასვლებს, იქ არსებული ღირსშესანიშნაობებისა და ძირითადი სერვისების გაცნობას ითვალისწინებს.

თითოეულ მარშრუტზე ტრენინგების საშუალო ხანგრძლივობა ორი კვირაა. ტრენინგებს პროფესიონალი ისტორიკოსები, ეთნოგრაფები და ექსკურსიამძღოლები ატარებენ. ტრენინგის მონაწილეები უზრუნველყოფილები არიან კურსის თეორიული და პრაქტიკული მასალებით.

პირველი ვოლიერი ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე

თბილისის ზოოლოგიური პარკის ახალ ტერიტორიაზე, თბილისის ზღვაზე პირველი ვოლიერი გაიხსნა. ვოლიერი თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, ზოოპარკის დირექტორთან ზურაბ გურიელიძესთან და გერმანიის ელჩთან ჰაიკე ფაიჩისთან ერთად გახსნა.

ზოოპარკის პირველი ბინადრები კავკასიაში გავრცელებული ცხოველები — დათვები და მგლები არიან. ვოლიერი გერმანიის მთავრობის დაფინანსებით აშენდა.

ვოლიერის ფართობი 1 ჰა-ზე მეტია. ახალ ტერიტორიაზე უკვე გადაყვანილია 4 მგელი და 3 დათვი.

ზოოპარკის ამჟამინდელ ტერიტორიაზე (გმირთა მოედნის მიმდებარედ) ადგილის სიმცირის გამო (5 ჰა) შეუძლებელია შემდგომი განვითარება — ცხოველების კოლექციის გამდიდრება და სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მოწყობა. ახალი ტერიტორია (48 ჰა) საერთაშორისო სტანდარტების ზოოპარკის აშენების შესაძლებლობას იძლევა — დიდი და კეთილმოწყობილი ვოლიერების უმრავლესობა თხრილებით, არხებითა და მსუბუქი კონსტრუქციებით შემოისაზღვრება; არსებული ლანდშაფტი ცხოველების ბუნებრივ საცხოვრებელ არეალთან მიმსგავსებულ გარემოს შექმნის; დამთვალიერებლისთვის მეტად საინტერესო საგანმანათლებლო-დასასვენებელი სივრცე მოეწყობა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4115; ევრო - 2.6789;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1294;
100 რუბლი - 4.2530; თურქული ლირა - 0.6792;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4218;
1000 სომხური დრამი - 4.9824.

ამინდი 19 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+23
თბილისი:	ღამე	+14,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge